№ 2808
შაბათი,
30 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2808
შაბათი,
30 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.
ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს აგზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**
როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.
ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით**—5 **კაპ.**

ძმა-მეგობრები ახლად გარდაცვალებულის
ვანო ჯანდიერიშვილისა
სთხოვენ ნაცნობთ პატივისცენ მის ცხედრის გამოსვენებას ტფილისის მიხეილის საავადმყოფოდან დღეს, შაბათს, 30 აპრილს, დილის 10 საათზე. (1—უ.—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აპოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შეუვაჭრებლად. (0—13)

იყიდება
ძლიერ იაფად: რკინის კრაოტები, სტოლები, ბუფეტის და ტანისამოსის შკაფები, შკაფი საქირურგო იარაღისათვის, სკამები, სკამები ვენის, მატრასები, ლეიბები მატყლის, ბალიშები, სავარძელი კბილის საექიმო და ავადმყოფის სატარებელი, საათი, ლამპები, საცვლები, ხალათები, ფეჩი თუჯისა ქვა-ნახშირისათვის, სარკე, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, მიკროსკოპი, სტერილიზატორი, სხვა და სხვა საქირურგო იარაღები, ტახტები, ელექტრონის მაშინები და მრავალი სხვა ოჯახისთვის სასარგებლო ავეჯეულობა. ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან.

ავლაბარი
არაქსიანის თეატრში
შაბათს, 30 აპრილს, ქუთაისის გუბერნიის **დაბა ჩხარში ცეცხლისაგან დაზარალებულთა** სასარგებლოდ გაიმართება
საბავშვო დღესასწაული.
დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე, დასასრული საღამოს 7 საათზე. ფასი: ბავშვებისთვის—10 კ., დიდებისთვის—25 კ.
გამმართველნი **კნ. მ. თუმანოვისა და**
(3—უ—3) **მ. მზარეულოვი.**

გამგეობა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის ამით აუწყებსთ წევრთ ამა ამხანაგობისას, რომ ვინაიდან პირველ კრებას არ დაესწრო საჭირო რიცხვი ამხანაგობის წევრთა, ამისათვის ხელ-ახალი კრება დაინიშნა 8 მაისისათვის მდგომარე წლისა და იგი კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (1—1)

ქუთაისის ქალთა პროგიმნაზია (მთავრობისა) ამით აცხადებს, რომ **მისაღები ეგზამენები** პირველ კლასში მოხდება 11, 12 და 13 მაისს; ხოლო მოსამზადებელ, მეორე და ახლად გახსნილ მესამე კლასში—16, 17, 18 და 19 მაისს. (3—6.—1)

რესტორანი
„ფუნიკულერი".
სადილი 4 ბლუდი 1 მან.
სადილი 30 აპრილს 1 ს.—5 საათ.:
1. შჩი—რუსული.
2. ვიჩინა გაროშკით.
3. სალმე მწყერებითა.
4. შმონკუხი.
და 5. ყავა.
პატრონი **ნ. ჩიკვაიძე.**

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მალალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციული ბანკის სახლი. (60—403—61)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
[illegible]: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—23)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".
28 აპრილი

ტოკიო, 27 აპრილი. იუწყებიან, რომ ვლადივოსტოკის ესკადრის ორი გემი 26 აპრილს ოომორის ახლო უნახავთო.

პარიზი. ტოკიოდან ატყობინებენ აქაურ გაზეთებს, დაპატიმრებული ფრანგი ბოგუენი, რომელსაც ჯაშუშობა ჰბრალდება, წინად ფრეგატის უფროსად იყო. იმის სადგომი გაჩხრიკეს. საფრანგეთის სამხედრო ატაშე, ბოგუენის ქალი-შვილის საქმრო, ცდილობს დაპატიმრებულის განთავისუფლებას. „მატენ"-ის კორესპონდენტი, რომელმაც რუსის პოზიციები დაიარა, იუწყება, რუსის ჯარი მშვენიერ მდგომარეობაშიაო.—„ეკო დე პარი" იუწყება, დელკასემ და რუვიემ ითათბირეს ყვითელ წიგნის გამოცემაზე ნეიტრალიტეტის შესახებ.

შანხაი, 28 აპრილი. („ჰავასი".) გენზანში იაპონიის დივიზია დგას. იმის ნაწილი ჩრდილოეთისაკენ მიდის მდინარე ტუნენის ნაპირადაო.

საიგონი, 28 აპრილი. ის ცნობა, ვითომ რუსის კრეისერი „დიანა" წასვლას ცდილობდა, შეთხზულია. შეთხზულია აგრეთვე ის ცნობაც, ვითომ საფრანგეთის მოხელეები სროლას დაემუქრნენ, რომ კრეისერისათვის გაქცევა დაეშალათო. „დიანა" იძულებული იყო ბინა გამოეცვალა. პორტის მოხელეების მოთხოვნილებით მაშინის უმთავრესი ნაწილები გადმოიღეს და მის გამო „დანა"-ს არ შეუძლიან მაშინის გამართვა.

ტოკიო, 28 აპრილი. იაპონიის ფლოტის ლეიტენანტად ნამყოფი ივასაკი დატუსაღებულია ბოგუენის საქმეზე. ივასაკი დათხოვნილი და ჩინ აყრილი იყო შარშან სამსახურში დანაშაულობისათვის და დიდხანს იყო პოლიციის მხედველობის ქვეშ. წინდაწინმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ივასაკის უცნაურად ემოქმედნა. ბოგუენს აქ დიდხანს ექცეოდნენ პატივის-ცემით და ორდენიც მისცეს. დატუსაღებულია აგრეთვე იაპონელი, ბოგუენის მოსამსახურე. ხმა დადის, დატუსაღებულთ ის ბრალი ედებათ, რომ რუსებს ნეიტრალიტეტის დამრღვევ ცნობებს ატყობინებდნენო. ბოგუენის მეგობრები უარ-ჰყოფენ იმის დანაშაულს. ბოგუენი წინად სამხედრო ატაშედ იყო ტოკიოში, შემდეგ სამსახურიდან გადადგა და ამ ჟამად საფრანგეთის გემთამშენებელ და რკინის ქარხნების წარმომადგენლადაა.

ჟიტომირი, 27 აპრილი. ებრაელებს, რომელნიც ნავებით დასეირნობდნენ, და მდინარე ტეტერევის ნაპირზე თავმოყრილ ქრისტიანებს ჩხუბი მოუვიდათ. ქრისტიანები ქვებს ესროდნენ ებრაელებს. ებრაელებმა პასუხად რევოლვერი ესროლეს და მსუბუქად დასჭრეს რამდენიმე კაცი. ქალაქში მალე გავრცელდა ხმა, ებრაელებს თავს დაესხა ხალხიო. ქალაქის განაპირა ადგილას, პავლიკოვკას, იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც ჩხუბი მოხდა, თავი მოიყარეს ებრაელებმა და ქრისტიანებმა. ზომები მიიღეს და აიცდინეს შეტაკება. იმ დღეს უცაბედად ცხენმა მოჰკლა 17 წლის ბიჭი, ებრაელი. დაჭრილია რამდენიმე კაცი. 24 აპრილს ქალაქის შუაგულ ადგილას შეტაკება მოხდა მოედანზე ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის. მოკლულია ორი ქრისტიანი და რამდენიმე ებრაელი. იმავე დროს მოხდა შეტაკება პოდოლში, სადაც მოკლულია და დაჭრილი რამდენიმე ებრაელი. ჯარმა გაჰფანტა ხალხი და დაატუსაღა რამდენიმე ქრისტიანი. 25 აპრილს თავდამსხმელებმა მოჰკლეს რამდენიმე კაცი და დაარბიეს ებრაელთა სახლები ქალაქის განაპირა ადგილას. ქალაქის ახლოს სოფელ კროშს დაარბიეს ებრაელთა ორი სახლი. წესიერების აღდგენას შეუდგა სამი პოლკი, ცხენოსან არტილერიის ესკადრონი და კიევის დრაგუნთა პოლკის დივიზიონი.

სტამბოლი, 28 აპრილი. პორტას გადასცეს საერთო ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, დიდი სახელმწიფოები მზად არიან მიიღონ ოსმალეთის პროექტი მაკედონიაში საფინანსო რეფორმის შესახებ, რომელსაც მიუმატა დადგენილება სპეციალური კომისიის კონტროლის შესახებ. კონტროლში მონაწილეობას მიიღებენ მთავარ-ინსპექტორი, სამოქალაქო აგენტები და საფინანსო დელეგატები გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის. კრიტზე საქმე მწვავდება. კონსულები შიშობენ ჯარის გაძლიერებას. მეამბოხეებმა დაიჭირეს საბაჟოები კასტელში, რეტიმნას აღმოსავლეთით, სადაც ინგლისის კრეისერი წავიდა.

ბათუმი, 28 აპრილი. გენერალ-გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ საქმეები იმათ შესახებ, რომელთაც ბრალდებათ კაცის კვლა, დაჭრა, თანამდებობის ასრულების დროს მოხელეთა მოკვლის განზრახვა, სახლების დაწვა, ძარცვა, მთავრობის წინააღმდეგობა,—სამხედრო სასამართლოს გადაეცემა. დამნაშავენი სიკვდილით დაისჯებიან. საქმეებს ეკლესიებსა და კრებებზე უწესობის შესახებ გუბერნატორები გადასწყვეტენ.

პეტროპავლოვსკი. მხეცურად მოჰკლეს გაჭარა სმუროვი, რომელიც ძუნწად სცხოვრობდა და ძლიერ მდიდარი კაცის სახელი ჰქონდა.

ბერლინი, 27 აპრილი. რეიხსტაგის სესია გაიხსნა კამათით სავაჭრო, საზღვაო და ნაფიცთა სასამართლოს გაუქმების შესახებ. მარცხენა პარტიამ წინადადება შეიტანა, პრესის [illegible] ნაფიცთა სასამართლოს გადაეცეს ხოლმე გასარჩევადაო. წინადადებას სოციალ-დემოკრატი შტოუკლერი იცავდა. თუმცა მარჯვენა და ცენტრი წინააღმდეგნი იყვნენ, წინადადება მაინც მიიღეს.

პეტერბურგი, 28 აპრილი. მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო მამულების სამინისტროს შეაქვს სახელმწიფო საბჭოში კანონპროექტი იმის შესახებ, რომ გლეხებს გაუადვილონ სახელმწიფო ადგილების იჯარა, ტყეებით და საძოვარ ადგილებით სარგებლობა, მიანიჭოს მინისტრს უფლება ადრევე უმოსავლობით დაზარალებულთ გადასახადის შეტანა და აპატიოს დარჩენილი იჯარა, ნებართვა მისცეს გლეხებს შეიძინონ ახლო მდებარე სახელმწიფო ადგილები.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან".
28 აპრილი

ფუნჩულინი. 27 აპრილს გაასამართლეს იაპონიის ჯაშუშები პორუჩიკი კობოიასი, ეფრეიტორი კაგო და ორი ჩინელი. კაბოიასის ნაბრძანები ჰქონოდა, დაეზვერნა ჩვენი ჯარები გირინთან. კაბოიასიმ, დაინახა რა, რომ იაპონურ ტანისამოსში შეუძლებელი იყო გირინისაკენ გასვლა, ნაბრძანები კი ჰქონდა, რაც უნდა დამართნოდა, სისრულეში მოეყვანა მინდობილება, გადასწყვიტა, გადაეცვა ჩინურად და უბრძანა, ეფრეიტორიც აგრეთვე მოქცეულიყო. 20 ვერსტზე გირინიდან იგინი სალდათმა დაიჭირა და კაგოს გადააძრო ქუდი, რომელზედაც ნაწნავი ყოფილიყო მიკერებული. იაპონელებსა და ერთს ჩინელს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, ერთი ჩინელი კი გაამართლეს. კაბოიასიმ სასამართლოს შეწყნარება სთხოვა და, თუ ეს არ შეიძლება, მაშინ სახეში მაინც მიიღეთ ისა, რომ მე არ შემეძლო უარი მეთქვა ბრძანების ასრულებაზეო. კაგომაც მიტევება სთხოვა სასამართლოს. ორივე სრულიად ღირსეულად იქცეოდნენ. მათმა დამცველმა მთავარ-სარდალს თხოვნა მისცა, შეიწყნარეთ ორივენიო.

შანხაი. იაპონელები აცხადებდნენ, რომ მათ სურთ გაჰყიდონ პორტ-არტურთან ჩაძირული 22 გემი.—„სტანდარტ"-ი ირწმუნება, ინგლისის ერთი სამხედრო გემი კიდევ გაიგზავნება კრიტოსზე კრეისერ „ვენიუს"-თან შესაერთებლადო.

ჰონკონგი. საფრანგეთის მთავრობამ დააწესა ცენზურა საიგონიდან გასაგზავნ დეპეშებზე.

29 აპრილი

ტოკიო. ხმა გავრცელდა, სუნგარის სრუტეში გამოჩნდა რუსის ორი კრეისერი, რომელნიც ვლადივოსტოკიდან გამოსულანო.

ლოძი. დღეს დაიხურა კარლ გოფრიხტერის ფაბრიკა, რადგანაც, მიუხედავად საფაბრიკო ადმინისტრაციისაგან გამოცემულ გაფრთხილებისა, მუშები არ გამოცხადდნენ სამუშაოდ სამის დღის განმავლობაში.

მინსკი. კალატოზების გაფიცვა დასრულდა. მანქანების საკეთებელ ქარხანა „ლეხნოლოგ"-ში გაიფიცნენ მუშები და მოთხოვნები წარუდგინეს ფაბრიკის პატრონს.

განჯა. დღეს ქალაქის მცხოვრებნი უსადილოდ დარჩნენ: მზარეულების მთელი ამქარი კალისთან საბრძოლველად იყო გასული; გუშინ დურგალთა ამქარი ებრძოდა; ხვალ გავა მკერვალთა ამქარი.

პეკინი. ჩინეთმა ნოტით მიმართა სახელმწიფოებს და განუცხადა, ბოქსერების აჯანყებისთვის დადებულ კონტრიბუციას, რომელიც ვერცხლით უნდა გადახდილიყო, ოქროთი გადავიხდითო. ჩინეთმა აგრეთვე წინადადება მისცა იანვრიდან დაწყებული ოქროთი გადავიხდით ერთ მილიონ გირვანქა დარჩენილ გადასახადსო. სახელმწიფოებმა 1,400,000 გირ. გადახდა მოსთხოვეს, ჩინეთმა-კი აღუთქვა, 1,200,000 გირ. გადავიხდითო.

პეტროპავლოვსკი. „სტეპნოი კრაი" იუწყება, საბოლოოდ გადასწყდა, სახელმწიფო ხარჯით გაიყვანონ რკინის გზა ტომსკიდან ტაშკენტამდეო.

მოსკოვი, 27 აპრილი. აფეთქება მოხდა სათადარიგო ჯარის შტაბს-კაპიტან პოსნიკოვის სადგომში, როცა იგი ლაბორატორიაში მუშაობდა. პოსნიკოვს თითები წაჰგლიჯა. სადგომის მოწყობილება დაინგრა.

ერევანი. სამოქალაქო სასწავლებელში მომხდარ არეულობაზე ცნობა ტყუილია. შაგირდები მეცადინეობენ.

ტომსკი. იურისტების აღმასრულებელი კომისია არ შესდგა 27 აპრილს. არავინ არ აღმოჩნდა გამგეობის მსურველი.

როსტოვი-დონზე. საზღვაოსნო სავაჭრო სამართველოსაგან გაგზავნილი ამხანაგობანი დონის ჭორლებს იკვლევენ, რადგანაც განზრახვა აქვთ, გაიყვანონ ზღვის არხი როსტოვის პორტსა და ტაგანროგის რეიდს შორის.

ნიუ-იორკი, 28 აპრილი. პენსილვანიაში უბედურება დატრიალდა: ხალხის მატარებელი შეიჭრა საქონლისაში. ორი ვაგონი დატვირთული იყო დინამიტებით; მოხდა აფეთქება. სრულიად დაიმტვრა ორივე მატარებელი. ვაგონებს ცეცხლი გაუჩნდა. მოკლულია 50 და დაჭრილია ასი კაცი.

რიგა. დანკეს ვერფზე დიდის ამბით ჩაუშვეს წყალში მეორე ნაღმიანი კრეისერი „კაზანეც"-ი რომელიც ფლოტის გაძლიერების კომიტეტის ხარჯზეა აგებული.

29 აპრილი.

ლოძი. ოსერის ფაბრიკაში ხელ-ახლა მიიღეს 400 მუშა. მუშაობენ ორიანი შეცვლით. მეორე შეცვლის დროს 500 წინანდელი მუშა მუშაობს.

ხრისტიანია. სპეციალურმა საპარლამენტო კომისიამ ერთხმად გადასწყვიტა, დაარსებულ იქნას ცალ-ცალკე საკონსულო ნორვეგიისთვის.

ქურნალ-გაზეთებიდან

ვენურ გაზეთის აზრი მომავალ საზღვაო ბრძოლაზე. ბევრი ჰფიქრობს, მომავალი საზღვაო ბრძოლა დიდ გადამწყვეტ გავლენას იქონიებს ხმელეთის ჯარის მოქმედებაზეო. ვენური გაზ. „ნ. ფრ. პრესე" შენიშნავს: ეს აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამართლდება, თუ საზღვაო ბრძოლა ერთ-ერთის ფლოტის სრულის განადგურებით დასრულდებაო. ფლოტის განადგურება კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ადმ. როჟესტვენსკი იაპონელებს ვლადივოსტოკიდან შორს შეებრძოლება, რადგან მაშინ თუ დამარცხდა, იაპონელები იმის ესკადრას ერთად-ერთის ბაზის გზას მოუჭრიან. სხვა შემთხვევაში კი არც იაპონიის ფლოტს და არც რუსის ფლოტს არ დაემართება პორტ-არტურის ესკადრის ბედი, რადგან ადმ. როჟესტვენსკის მოუხდება თავ-შესაფრის ძებნა ვლადივოსტოკში, თუ ადმ. ტოგო წავა იაპონიის რომელსამე ნავთ-სადგურში, მაინც ორივე ფლოტი კიდევ შეიძლებს ზღვაში გასვლას. ვლადივოსტოკი, როგორც ფლოტის ბაზა, შეუდარებლად სჯობია პორტ-არტურს; პორტ-არტური ნამდვილი ხაფანგი იყო. ადმ. ტოგო ხომ, თუ იაპონიაში მოუხდა წასვლა, უფრო უკეთეს მდგომარეობაში იქნება: სამხრეთ იაპონიის კუნძულებ შუა სრუტეებში თავისუფლად იმოქმედებს, ადმ. როჟესტვენსკის ფლოტს ორად გაანაწილებინებს და საქმეს გაუჭირვებს. ასე რომ, გინდ იაპონიის ფლოტი დამარცხდეს კიდეც, მარშალ ოიამას ჯარს იაპონიის გზა მაინც ხსნილი ექნება. („ო. ნ.").

სადა დგას ადმ. ტოგოს უმთავრესი ფლოტი დღემდე სწორედ ვერ გაიგეს, სადა დგას ადმ. ტოგოს უმთავრესი ფლოტი; ამაზე მეტად არეული ცნობები მოდის.

„ნ. ფრ. პრესე"-ს დეპეშით ატყობინებენ ამსტერდამიდან: ტოკიოდან იუწყებიან, იაპონიის ფლოტი ფილიპეს კუნძულების ჩრდილოეთით დგასო. ერთმა დივიზიამ—17 გემმა—აპრილის ნახევარში ფორმოზას ახლო გაიარაო. („ს. ო.").

„დეილი მეილ"-ს დეპეშით ატყობინებენ საიგონიდან: აქ კერძო სარწმუნო ცნობა მიიღეს, აპრილის ნახევრამდე იაპონიის უმთავრესი ფლოტი იაპონიაში იდგა და არა მოზამპოსა და ფორმოზასთან, როგორც ხმა დადისო. („ო. ნ.").

„რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ვ. მ—ც იმ აზრისაა, რომ ადმ. ტოგო იაპონიის ახლო დგას სადმე და იქ ელის რუსის ფლოტსა, იაპონელი ადმირალი თავის ბაზის ახლო რჩეობს ბრძოლასაო. მიმომხილველი სწერს: ბაზასთან სიახლოვე დიდ უპირატესობას შეადგენს. თუ ფლოტის ბრძოლა კუნძულ ფორმოზას სამხრეთ ნაწილთან მოხდება, იაპონელები 100 მილის სიშორეზე იქნებიან თავიანთ ახლობელ პორტიდან, ადმ. როჟესტვენსკი-კი 1600 მილზე იქნება ვლადივოსტოკიდან; თუ ბრძოლა კორეის სრუტეში მოხდება, რუსის გემებმა ბრძოლის შემდეგ ვლადივოსტოკამდე 500 მილზე მეტი უნდა გაიარონ, იაპონიის გემები-კი ერთ ან ორ საათში მივლენ კუნძულ ცუსიმასთან ანამის ნაპირებიდან ვლადივოსტოკამდე რუსის ესკადრამ კიდევ 2,450 მილი უნდა გაიაროს, ესე იგი სულ მცირედ 15 დღე უნდა იაროს; შუა გზაში აუცილებლად ერთხელ მაინც უნდა შედგეს ქვა-ნახშირის დასადებად და შეიძლება, იაპონიის ნაღმიანი გემები სწორედ ამ დროს მოულოდნელად დაესხნენ რუსის ესკადრას. ადმ. ტოგო, ეტყობა, დიდ მნიშვნელობას აძლევს თავის ბაზასთან ახლო ყოფნას და ამიტომ ადმ. ნებოგატოვს არ დაუშალა შეერთება ადმ. როჟესტვენსკის ესკადრასთან.

რუსეთის მეოთხე ესკადრა. ზოგი მეზღვაური ამტკიცებს, რუსეთს ის უპირატესობა აქვს, რომ კიდევ შეუძლიან ბალტიის ზღვიდან ახალ ესკადრის გაგზავნა, იაპონიას-კი მარქაფა ფლოტი აღარა ჰყავსო. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: ამ ჟამად კრონშტადტში სამხედრო გემებს ამზადებენ წყნარ ოკეანეში გასაგზავნად. ამ გემების რაზმს საზღვარ გარედ „რუსეთის მეოთხე ესკადრას" უწოდებენ. „მეოთხე ესკადრა" ეხლა მზადდება კრონშტადტში და მაისის ნახევარზე ადრე ზღვაში ვერ გავა, ახალი საესკადრო ჯავშნიან გემი „სლავა" მხოლოდ აპრილის ნახევარში შეუდგა თავის მექანიზმის გამოცდას, ამიტომ ეს რაზმი ინდო-ჩინეთის ნაპირებთან მომავალ აგვისტოზე ადრე ვერ ჩავა, მანამდე-კი ზღვაზე საქმე საბოლოოდ გათავებული იქნებაო.

უცხო სახელმწიფოთა ფლოტი შორეულ აღმოსავლეთის ზღვაში. თუმცა ინგლისმა თავისი ესკადრა ცოტა შეასუსტა რუსის ფლოტის დამარცხების შემდეგ, მაგრამ მაინც დღესაც ყველაზე ძლიერი ესკადრა ჰყავს ჩინეთის ზღვაში. ამ ესკადრას თითონ აღმოსავლეთ ფლოტის უფროსი, ვიცე ადმირალი სერ ჯერალდ ნოელი უფროსობს. ნოელი ნიჭიერ ადმირალად ითვლება და ამ ესკადრის გარდა კიდევ ორი სხვა ესკადრა აბარია: ავსტრალიისა და აღმოსავლეთ ინდოეთისა. თუ ვინიცობაა ომი მოხდა, სამივე ესკადრა საერთოდ იმოქმედებს. მარტო ჩინეთის ესკადრაში ადმ. ნოელს ჰყავს: 4 ჯავშნიანი გემი, თითო 13 ათას ტონა წყალ წყვისა, 1 ჯავშნიანი გემი 10,500 ტონისა, 4 ჯავშნიანი კრეისერი 12 ათას ტონისა თითო, 4 კრეისერი მეორე კლასისა, 9 კანონირი გემი და 5 დიდი ნაღმიანი გემი (გამანადგურებელი). ამ დღეებში ხმელთა შუა ზღვის ესკადრიდან 5 დიდი ნაღმიანი გემი უნდა გაეგზავნათ ჩინეთის ზღვაში და მოკლე ხანში 10,500 ტონიან ჯავშნიან გემის ბადლად 13 ათას ტონიან ჯავშნიან გემის გაგზავნასაც აპირობენ.

ინგლისის ესკადრას მოსდევს ამერიკის ესკადრა. ამერიკის ესკადრა ორ რაზმადაა განაწილებული. ორსავე რაზმს ადმირალი ტრენი უფროსობს. ტრენსა ჰყავს: 3 ჯავშნიანი გემი, 10 ათასიდან 12,500 ტონამდე წყალ-წყვისა თითო, 1 მონიტორი 4 ათას ტონიანი, 3 კრეისერი 3 ათასიდან 4 ტონამდე თითო, 4 დიდი ნაღმიანი და 10 კანონირი გემი.

საფრანგეთის ესკადრა შორეულ-აღმოსავლეთში დიდი არაა და უმთავრესად კრეისერებისაგან შესდგება; უფროსად ვიცე-ადმირალი ბეილია დანიშნული. ბეილს ჰყავს: 1 ძველი ჯავშნიანი გემი 9,500 ტონიანი, 2 ჯავშნიანი კრეისერი 9,500 ტონიანი თითო, 1 კრეისერი 8 ათას ტონიანი, 2 კრეისერი 4 ათას ტონიანი, 7 დიდი ნაღმიანი და 7 კანონირი გემი.

გერმანიას შორეულ-აღმოსავლეთში სულ რამდენიმე სამხედრო გემი ჰყავს: 1 კრეისერი მეორე კლასისა, 2 კრეისერი მესამე კლასისა და 5 კანონირი გემი.

დანარჩენ სახელმწიფოებს მარტო ბრძოლისათვის გამოუდეგარი სტაციონერი გემები ჰყავთ შორეულ-აღმოსავლეთში. („რ. ს.“).

რუსის არმიის გაჭირვება. მანჯურიიდან დაბრუნებულ ყაზახ პოლკოვნიკს, ბრძოლაში დაჭრილს, უამბნია „მატენ“-ის კორესპონდენტისათვის: მანჯურიის არმიას ძლიერ აწუხებს ბევრნაირი უწესოება, მაგრამ ყველაზე მეტად ცნობებისა და გეოგრაფიულ კარტების უქონლობა უჭირვებს საქმეს. ჩემმა ყაზახებმა ერთხელ წაღები დაცვითეს და 1500 ახალი წყვილი წაღა ვითხოვე. უარი მითხრეს, საჭირო არააო. რამდენიმე ხნის შემდეგ ლიაოიანი მივატოვეთ; 500 კაცი გამაგზავნინეს ლიაოიანში საწყობის დასაცველად: ამ საწყობში მილიონი წყვილი წაღა ეწყო. სანამ ცეცხლს წაუკიდებდნენ, ჩემმა ყაზახებმა ახალი წაღები ჩაიცვეს და ახალ წაღებში დაიხოცნენ. ხშირად ორ-ორი დღე ვრჩებოდით მშივრები და თითქმის ვგიჟდებოდით. ამისთანა მარხვის შემდეგ შემთხვევით ვშოულობდით ერთ-ორ ყუთ სუხარს მთელის პოლკისათვის; თანაც ისეთ გამხმარ, ლოდივით მაგარ „სუხარს“ ვშოულობდით, რომ სალდათები ჰუჰყიან გუბეებში ალბობდნენ და ისე სჭამდნენ. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა ძლიერაა გაცეცხლებული რუსის არმია იმათზე, ვინც ამ გაჭირვებაში ჩააგდო ჯარი. რა ბედიც უნდა მოელოდეს რუსის არმიას, ომი მაინც უნდა განვაგრძოთ—მერწმუნეთ, სჯობია, რომ ჯარი ისევ მანჯურიაში იყოს, ვიდრე აქ, რუსეთში, დაბრუნდეს. („ს.“).

დროა თუ არა?

III

საზოგადოთ უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენს „დასელებს“ არავითარი საბუთი არ წამოუყენებიათ ავტონომიის წინაალმდეგ. როდესაც ავტონომიაზეა ლაპარაკი, ისინი გრძელ-გრძელ ლექციებს გვიკითხავენ კლასთა ბრძოლაზე, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესების წინაალმდეგობაზე და სხვა. გაუგებარი რჩება, ვის ეომებიან, ვის ეწინააღმდეგებიან ამით? ვინ სთქვა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შუა ჰარმონია არსებობსო და ვინ ამტკიცებს, კლასსთა ბრძოლას ადგილი არა აქვსო? ისინი, ვინც ავტონომიას იცავენ, ამბობენ: ეროვნული საკითხის მდგომარეობა დღევანდელ ბურჟუაზიულ ცხოვრებაში ხელს უშლის წმინდა კლასობრივ ბრძოლას, აბრკოლებს მუშა ხალხის ბრძოლას კაპიტალიზმთან; ეროვნებათა შევიწროება ზედმეტი უბედურებაა, რომელიც აგვიანებს ხალხის სრულს გამარჯვებას და ამიტომ დღეს ისე უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, რომ ამა თუ იმ ერს, რამდენადაც შესაძლებელია, ბრძოლა აღარ ჰქონდეს ეროვნულ უფლების დაცვისათვის. აი, დასაწყისი სადაო საგნისა აქა სძევს, ესე იგი, ავტონომიის მოწინააღმდეგეებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ერის ფართო პოლიტიკური თვითმართველობა ხელს შეუშლის პროლეტარიატის ბრძოლას თავის იდეალის განხორციელების საქმეში. სწორედ ამის საბუთები მათ არ მოჰყავთ და მარტო ფრაზებით გვიშორებენ: პროლეტარიატს ეროვნული საკითხი ბურჟუაზიულ საკითხად მიაჩნია, იმისთვის ეროვნება არ არსებობს და ყოველი ძალმომრეობა დაიმხობა, როცა პროლეტარიატი გაიმარჯვებსო.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ ვინ გამოდის ეროვნების დამცველად, ასე ვსთქვათ and für sich? არც ჩვენა ვართ ეროვნულ პრინციპის რომანტიკოსები; ჩვენ მხოლოდ არ შეგვიძლია ფაქტის უარყოფა,—იმ ფაქტისა, რომ სხვა და სხვა ერი არსებობს და მათ შორის ბრძოლა არის; იმ ფაქტის უარყოფა, რომ სანამ კაპიტალისტური წესწყობილება არსებობს, დამონავებულ ერთა დაჩაგვრა არ მოისპობა. ჩვენ რომ დარწმუნებული ვიყოთ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა პროლეტარიატის სოციალურის იდეალის სრულის გამარჯვებით გათავდება, მაშინ ეროვნულ საკითხზე ლაპარაკს, რასაკვირველია, მეტად ჩავთვლიდით. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ამ გვარ გამარჯვებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა და ახლო მომავალში ბურჟუაზია გაიმარჯვებს. ყვენ ამ ფაქტს ვუწევთ ანგარიშს და ვამტკიცებთ, რომ საჭიროა, სრულიად რუსეთის ბურჟუაზიას დღესვე დავათმობინოთ ავტონომია, რათა თავიდან ავიცილოთ მომავალში ერთა გამწვავებული ბრძოლა, რომელიც ხელს უშლის პირდაპირ კლასობრივ ბრძოლას. კაუტსკისა არ იყოს, „ყოველ ერის ბურჟუაზია დაინტერესებულია სახელმწიფოს მტკიცე გაერთიანებაში და მოწადინებულია თავისი ენა გაბატონოს, თავისი ენა ძალდატანებით მიაღებინოს სახელმწიფოს ყველა სხვა ერებს.“ არც „დასელები“ უარჰყოფენ იმ ფაქტს, რომ ბურჟუაზიის გაბატონებას თან სდევს ეროვნებათა დაჩაგვრა. მაშ არც იმას უნდა ჰყოფდნენ უარს, რომ პროლეტარიატის ინტერესი მოითხოვს, ისე მოაწყოს სახელმწიფო, რომ ერთის ერის დაჩაგვრა, რამდენადაც შესაძლებელია დღესდღეობით, შესუსტდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შესუსტება უკეთესად შეიძლება ავტონომიის მეოხებით და არა იმ ცენტრალისტურ დემოკრატიულ წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობით, რომელსაც „დასელები“ გვისახელებენ. ჩვენთან ერთად ასე ფიქრობენ, როგორც წინა წერილშიაც ვთქვით, რუსეთის სხვა და სხვა ერების დემოკრატიული და სოციალისტური ელემენტებიც. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ასევე ფიქრობს, ამავე აზრისაა დღეს მარქსიზმის საუკეთესო მოძღვარი—თვით კაუტსკი. თავისი აზრი ეროვნულ საკითხისა და ავტონომიის შესახებ მან გამოსთქვა post factum: როცა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ აღიარა ავტონომიებისა და ფედერაციის პრინციპი; ხოლო წინად კაუტსკიც დიდი ცენტრალისტი გახლდათ. აი, რას ამბობს დღეს ეს კაუტსკი: „ავსტრიის მუშათა პარტიამ უკვე რამდენიმე წელიწადია წამოაყენა მტკიცედ განსაზღვრული და ნათელი პროგრამა, რომელიც არკვევს ნაციონალურ საკითხს (ავსტრიაში) საზოგადოთ და დუალიზმის შესახებ კერძოთ (უნგრეთთან); ეს პროგრამაა: **ეროვნებათა ავტონომია** (კურსივი ჩვენია) და სრული განცალკევება იმპერიის ორისავე ნაწილისა (ავსტრიისა და ჰუნგრეთის), რადგან დუალიზმი ავიწროებს იმპერიის ორივე ნაწილს და კიდევ უფრო ამწვავებს ისედაც მწვავე ეროვნულ ურთიერთობასა და ინტერესებს“. კაუტსკის აზრით, ასეთის პროგრამით მუშათა პარტია გაიმარჯვებს ეროვნულ საკითხში: „ეს ძნელი საქმეაო, ამბობს სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგი, მაგრამ მუშათა პარტიას, თავის ნათელის პროგრამის წყალობით, მარჯვედ უჭირავს ხელში ნამდვილ პროგრესსის დროშა“-ო. *)

როგორც ხედავთ, არც კაუტსკის ეშინია, რომ მრავალ ეროვნებათა ავტონომიები დაქსაქსავენ და დააუძლურებენ ავსტრიის მუშათა პარტიას, რომ ეროვნული ავტონომიები ჩრდილს მიაყენებენ კლასობრივ ბრძოლას და სხვა. პირიქით, კაუტსკი იმ აზრისაა, რომ ეროვნული დაჩაგვრა, რომელიც თან სდევს ბურჟუაზიულს სახელმწიფოს, საშიშია დამონავებულ ერთა პროლეტარიატისათვის, რადგან ასეთ დაჩაგვრას შეუძლია „გამოიწვიოს ეროვნული მისწრაფებანი იმ კლასთა შორისაც, რომელთათვის უცხოა ბურჟუაზიული ინტერესები“. კაუტსკის არა თუ ეშინია ავტონომიებისა, სრულს განცალკევებასაც-კი საჭიროდ სთვლის ავსტრიისა და ჰუნგრეთისათვის, რადგან მათი ერთად ყოფნა ამწვავებს ეროვნულ საკითხს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში კაუტსკის თვითონ ეროვნული საკითხი-კი არ აინტერესებს, არამედ მუშათა პირდაპირი ინტერესი ალაპარაკებს,—ის ინტერესი, რომელზედაც ზევით მოგახსენეთ: ერთა ბრძოლა უნდა შესუსტდეს, რათა კლასთა ბრძოლას არაფერი არ უშლიდეს. ხოლო ასეთი შესუსტება შეიძლება მაშინ, როცა ყველა ერი დაიმკვიდრებს ფართო პოლიტიკურს ავტონომიას.

ეს აღიარა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ; ამავე პრინციპს ადგია ინგლისის მუშათა პარტია. ამ დღეებში გამოცხადდა ინგლისის სოციალისტების პარტიის პროგრამა და ერთ-ერთ მთავარ მუხლად ამ პროგრამაში აღიარებულია ირლანდიის ჰომრული (იგივე ავტონომია)... ნუ-თუ „დასელებს“ მართლა ჰგონიათ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა და მათ ამყოლ ქართველ დასელების მეტს ყველა სხვა სოციალისტებს დავთრები აბნევიათ და იმიტომ დაუწყიათ რაღაც ეროვნულ ავტონომიებზე ლაპარაკი? როგორ მომხდარა ეს, რომ არავის, გარდა ჩვენის დასელებისა, არ შეშინებია „კარჩაკეტულობისა“, „დაქსაქსვისა„, „მუშათა კლასსობრივ თვითცნობიერების დაბნელებისა“, როცა ავტონომიაზე ჩამოვარდა ლაპარაკი?! ან შეიძლება დავთრები უფრო რუსებისა და ქართველების დასელებს ჰქონდეთ არეული? ვურჩევთ ჩვენს დასელებს კარგად ჩაუფიქრდნენ ამ გარემოებას და იქნება დაგვეთანხმონ, რომ გზა დაბნეულები თვითონ უფრო არიან, ვიდრე ის დემოკრატიული და სოციალისტური ელემენტები, რომელთაც ავტონომიის გაგონებაზე არც აციებს და არც აცხელებს..

ვნახოთ ეხლა, რით აიხსნება ასეთი განსხვავება. რით აიხსნება ჩვენის დასელებისაგან ასეთი საოცარი გაუგებრობა ეროვნულ საკითხის მნიშვნელობისა?

განი

ახალი ამბავი

◆ გუშინ ნაშუადღევის სამ საათზე, პეტერბურგიდან **ტფილისს დაბრუნდა კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სულთან კრიმ-გირეი** და საპოლიციო უფროსი შირინკინი. ბ-ს სულთან კრიმ-გირეის რკინის გზის სადგურზე მიეგებნენ ტფილისის უმაღლესი მოხელენი, ქალაქის თავი, ზოგიერთი ხმოსნები, პოლიცმეისტერი და სხვანი.

◆ **კავკასიის ნამესტნიკს** გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს თან ახლავან: ადიუტანტი თ-დი ჰავჰავაძე, პოდპოლკოვნიკი თ-დი ნაკაშიძე და მოხელე ლინდენი.

◆ 27 აპრილს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოში, როგორც უკვე ვწერდით, მოხდა **კერძო კრება** ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობისა თავის ეკონომიურ საჭიროებათა გამოსარკვევად. თავმჯდომარეობდა თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი. დაადგინეს: აარჩიონ კომისია. ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს ის ზარალი, რომელიც მოუვიდა მემამულეებს გლეხთა მოძრაობის გამო და რა შეღავათი უნდა მიეცეს იმ თავად-აზნაურთ, რომელთა მამულები ბანკებშია დაგირავებული. კომისიაში აარჩიეს: თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი, ი. ს. ჯაბადარი, კ. ი. ყავრიშვილი და სხვები. ამ კომისიისა და სხვა მაზრებში დაარსებულ ამგვარ კომისიების ნაშრომი კავკასიის ნამესტნიკს გადაეცემა.

◆ 28 აპრილს ტფილისში მოხდა **კრება ინტელიგენციისა**, რომელთაც კაიცნეს პროგრამა რუსეთის ერობათა ორგანიზაციის, ესრედ წოდებულ „კავშირთა კავშირისა“. პროგრამა ბუნდოვანი გამოდგა, მასთან ბურჟუაზიულ ინტერესების დამცველი, ამიტომ დიდმა უმრავლესობამ არ მიიღო, ამასთან ნათლად არ იყო გამორკვეული ისეთი საკითხი, რომელიც აინტერებს რუსეთის განაპირა ადგილების მცხოვრებთა ერებს, მაგალითად, ეროვნული საკითხი. თავმჯდომარემ განაცხადა, ეს პროგრამა არის მხოლოდ მინიმუმი და შეიძლება მისი შევსება და გადაკეთებაო. კრების დასასრულ ამორჩეულ იქმნა კომიტეტი, რომელიც შეამზადებს ბიუროს წევრების საარჩევნო ნიადაგს. ბიუროს მიზანია ყველა პარტიათა თავმოყრა.

◆ როგორც გავიგეთ, იმ კომისიას, რომელიც გენერალ მიხაილოვის თავმჯდომარეობით შესდგა **რკინის გზის მემანქანეთა საქმეების** გამო, გადაუწყვეტია, მემანქანეთ და მათ თანშემწეთ მიეცეთ 22 ათასი მანეთი, დანარჩენ მოსამსახურეთ ლიანდაგის და გამგეობისას—78 ათასი მანეთი. ეს ფული მიეცემათ იმ მოსამსახურეთ, რომელთაც არა უმეტეს 600 მანათისა აქვთ წელიწადში. ამის შესახებ ნამესტნიკის მოადგილეს გენერალ-მალამას უკვე გაუგზავნია შუამდგომლობა გზათა სამინისტროში. გენერალი მალამა სწერს, ეს ფული აუცილებლად უნდა მისცეს სამინისტრომ მოსამსახურეთ იმ ფულიდან, რომელიც შარშან დაუხარჯავი დარჩა.

◆ **როდშილდის ქარხანა ბათუმში**, როგორც „ჩ. ვ“. გადმოგვცემს, ამ ცოტა ხანში განაახლებს მუშაობას. ძველ მუშებს გარდა ქარხანას დასჭირდება თურმე ოთხმოცი ახალი მუშა.

◆ უწმ. სინოდის განკარგულებით, **სასულიერო სასწავლებლების** ყველა მოწაფეს, იმათ გარდა, რომელნიც ცუდად სწავლობენ, გამოუცდელად გადაიყვანენ შემდეგ კლასში. კურს-განვლილთა გამოცდა დასრულდება არა უგვიანეს 15 მაისისა.

◆ 21 მაისისათვის ბორჩალოს მაზრის ს. შულავერში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსიის მიერ განსახილველად დანიშნულია საქმე დიდ-გომარეთის სოფლის სკოლის მასწავლებლად ნამყოფის სვიმონ სალარიძისა და ამავე სოფლის მცხოვრებ გლეხთა, რომელთაც ჰბრალდებათ შარშან აპრილში მთავრობის მოხელის **მომრიგებელ შუამავლის ენიკოლოფოვისათვის წინააღმდეგობის გაწევა**.

◆ ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო გაზ. „ბაქ. იზვესტ.“-დან ამოღებული ცნობა იმის შესახებ, ვითომ **ბაქოს ქართველ საზოგადოების ერთ ნაწილს** განზრახვა ჰქონდეს, მომრიგებელ მოსამართლის ლ. ქ. მამულაიშვილის და ნაფიც ვექილის თანაშ. ვ. ქიქოძის მეთაურობით, მიეგებოს კავკასიის ნამესტნიკს და პეტიცია გადასცეს ბაქოში მომხდარ სისხლის ღვრის დროს ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ. ეხლა „ბაქ. იზვესტ.“-ში ბ-ნ მამულაიშვილის და ქიქოძის წერილია მოთავსებული რედაქციის მიმართ, რომლიდანაც სჩანს, რომ წინად დაბეჭდილი ცნობა თავიდან ბოლომდის ყალბი და უსაფუძვლო ყოფილა.

◆ **ფოთი**. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა საჭიროდ სცნო აკრძალულ იქმნას ფოთში ჩვეულებრივი მაისობა, ბაზრობა და სეირნობა, სადაც ქალაქ გარეთ წალკოტში გურია-სამეგრელოს სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსული აუარებელი ხალხი 1 მაისს, საბურთაოდ იყრიდა თავს. ქალაქში ქურდბაცაცები თან და თან მრავლდებიან და ამის გამო ქალაქის მკვიდრნი გაჭირვებაში არიან.

◆ გუშინ, 29 აპრილს, ვერაზედ, წყნეთის ქუჩაზედ, ქალაქის საბჭოს ხმოსნის, ინჟენერ გრ. გ. კირაკოზოვის სახლში, კავკასიის საბებიო ინსტიტუტის გვერდით, დილის 11 საათზედ შემდეგი ამბავი მოხდა: კირაკოზოვთან დილით ყოფილა, სხვათა შორის, ტფილისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების იურისკონსულტი, ნაფიც ვექილის თანაშემწე არტემ ჩიმიშკიანცი. ასე 11 საათზედ თვით სახლის პატრონი გ. კირაკოზოვი სახლიდან კიბეზე ჩასულა ბაღში გასასეირნებლად, ამ დროს იურისკონსულტს ჩიმიშკიანს, რომელსაც რაღაცაზედაც ლაპარაკი ჰქონია კირაკოზოვის მეუღლესთან, ამოუღია რევოლვერი და ქალისათვის უსროლია. რადგან პირველი ტყვია ასცდენია და შეშინებული ქალი წივილ-კივილით გასაქცევად გაბრუნებულა, ჩიმიშკიანს მეორედ დაუხლია. ქალს ტყვია მოხვედრია მარცხენა იღლიაში. ჩიმიშკიანს შემდეგ თავის თავისთვის დაუცია რევორველი და იქვე წაქცეულა. დასისხლიანებული ჩიმიშკიანი ეტლით მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. ექიმების შემოწმებით ქ-ნ კირაკოზოვის ჭრილობა არ არის საშიში, ხოლო იურისკონსულტი კი სასიკვდილოდ არის დაჭრილი. ეს სამწუხარო ამბავი, როგორც ეტყობა, რომანტიულს ნიადაგზედ მოხდა.

◆ ამას წინად უკვე ვწერდით, რომ ტფილისის მაზრის სოფელ დიღომში მსხვილფეხა საქონელს რაღაც სენი გაუჩნდათ. ბეითლების გამოკვლევით, ეს სენი საქონლის ჭირი აღმოჩნდა. აქამდი 20 სული საქონელი დაიხოცა. დღეიდან, საგუბერნიო ბეითალის განკარგულებით, შეუდგებიან დიღომში საქონლის აცრას. სულ ასაცრელია 150 სულზე მეტი.

◆ იმიერ-კასპიის მხრის ერხეულნის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორმა აცნობა ტფ. ქალაქის გამგეობას, რომ ამ ოლქიდან 250 მოსწავლე საექსკურსიოდ მიჰყავთ რუსეთში. რადგან ტფილისშიაც ჩამოხტებიან 6 დღით და სახარჯო ფული კი ნაკლებად ჰქონიათ, ინსპექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, დაუთმოს ერთი ერთ სკოლის სადგომი აღნიშნულ დროს განმავლობაში საცხოვრებლად.

◆ ამას წინად ტფილისში გაიფიცნენ ხუროები და წარუდგინეს ქარხნის პატრონებს თავიანთი მოთხოვნილებანი. თავის მხრივ ქარხნის პატრონებმაც წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი მამულის პატრონებს: 1. მოისპონ მოიჯარადრეები, რომელნიც ქირას ერთი ორად გვახდევინებენ; 2. ქირები შეგვიმცირდეს ნახევრამდე; 3. წყლის გადასახადი მოგვესპოს, რომელსაც მოიჯარადრე გვახდევინებს სამს აბაზს; 4. არ შეგვეძლოს იმ მომუშავის აყვანა, რომელსაც ჩვენი ფული მართებს, ვიდრე არ გა-

ფელეტონი

ა. იაბლონოვსკის „სამუზგლოს სურათებიდან“.

როცა ჰანიბალმა მიდევ-მოდევნა რომის კონსულების ლეგიონები, ამაყსა და გაუტეხელ რომაელებს ერთის წუთითაც არ შეუწყვეტიათ თავიანთი საზოგადოებრივი ცხოვრება: თითქოს არაფერი მომხდარიყოს, რომის სენატორები სხდომებზე დადიოდნენ, რომაელი მოქალაქენი ფორუმზე (მოედანზე) იყრიდნენ თავს, მჭერმეტყველ ორატორებს თავი მოჰქონდათ მოხდენილის და ხერხიანის სიტყვებით. ეს კიდევ ცოტაა: როცა ჰანიბალი რომის კარებთან იდგა, შეუდრეკელი პატრიციები საჯარო ვაჭრობას აწყობდნენ და იჯარით სცემდნენ იმ ადგილებს, რომელიც უკვე გაიარეს კართაგელ გამარჯვებულმა ჯარებმა. და თუმცა ყველამ იცოდა, რომ საიჯარო მიწასა და რომს შუა იდგა მთელი ტყე მტრის შუბებისა, საჯარო ვაჭრობაზე მაინც მოდიოდნენ და იჯარით იღებდნენ იმ მიწებს—იმდენად დიადი იყო სულიერი სიძლიერე არისტოკრატ ხალხისა.

დაახლოვებით სულის ასეთსავე სიდიადეს გამწნევთ ეხლა ჩვენს პეტერბურგში: ჩვენი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები ერთ წუთსაც არ შეჩერებულან და აშენებენ მათდამი რწმუნებულ რუსის ხალხის კეთილდღეობას; წვრილმანშიაც არ ულალატნიათ ტრადიციონულ პოლიტიკისათვის; ბუნებრივ, თანდაყოლილ სიამაყის გამო ვერც კი ამჩნევენ, რომ ოიამა, ეგრე ვსთქვათ, ციმბირის კარებთან სდგას. ერთის სიტყვით, მთელი კილო, ელფერი ცხოვრებისა ისეთივეა, როგორიც იყო ძველ რომელ პატრიციებისა, და თვითეული დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი მთელის თავის ქცევით მჭერმეტყველურად გვეუბნება: იმისთანა არაფერი მომხდარა, ბატონებო, და თუ შემდეგში მოხდება რამე, ყოველივე სიძნელეს თავის დროზე დასძლევენ შესაფერ დეპარტამენტშიო. მაგალითო თუ გნებავთ, შეხედეთ დიაჰუნოვს, ნამდვილ რომაელს, რომელიც სახალინის გუბერნატორად არის. დღეს არა ხვალ ეს კუნძული მტრის ხელში გადავა, დღეს არა ხვალ სახალინს იაპონელები დაიპყრობენ უბრძოლველად, დიაჰუნოვი კი, როგორც ნამდვილი რომაელი პატრიცი წარბსაც არ იხრის და, თითქოს სრულიად არაფერი იყოს, სამინისტროს ეკითხება —„საპატიმროს ზედამხედველებს რა ფერის ტანისამოსი ეკუთვნისო“.

უნდა დამეთანხმოთ, რომ ასეთ სულის სიდიადემდე თვით საუკეთესო რომაელ პატრიციებსაც არ მიუღწევიათ. მართალია, იმ დროის რომში საპატიმროს ზედამხედველნი, როგორც სხვა მოქალაქენიც, შარვალს არ ატარებდნენ, ამიტომ რომის მთავრობას არც სჭირდებოდა მათთვის საგანგებო ფორმა შეემუშავებინა. მაგრამ თუნდ რომ შარვლის ტარებაც მოდაში ყოფილიყო იმ დროს, გვეფიქრობთ, რომ რომაელებს ამისა თავი არ ექნებოდათ.

აი მეორე მაგალითიც. მას შემდეგ რაც კვანტუნის ნახევარ კუნძული იაპონელების ხელში გადავიდა და შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკი მთელის თავის შტაბით ბოლშაია კონიუშენაიაზე დადგა ევროპის სასტუმროში, პეტერბურგში გაჩნდა, როგორც ფენიქსი ფერფლიდან საგანგებო კომისია, რომელიც, ღვთის შეწევნით, შეუდგა იმის გამორკვევას, თუ როგორი სამოქალაქო წესწყობილებაა უფრო შესაფერი მტრისაგან უკვე დაპყრობილ ტერიტორიისათვის. როგორც მიღებულია, ეს კომისია შეუსვენებლივ მუშაობს, და, როგორც გაზეთი „სლოვო“ გვატყობინებს, თითქმის უკვე გამოარკვია პროექტი კვანტუნის ტყეების რაციონალურ, საზრიან მოწყობისა...

ღმერთმა ქნას, რომ ამ კომისიას შემდეგშიაც ასე ბრწყინვალედ ემუშავნოს და კვანტუნის ტყეებიც გაშენებულიყოს თანახმად რაციონალურ სატყეო მეურნეობის წესებისა, მაგრამ მე კიდევ რომაელებთან ვარ: თუ ერთმანეთს შევადარებთ ჩვენ რომაელებს და ძველ რომის რომაელებს, სიმართლეს თუ ვიტყვით, უპირატესობა ჩვენებს უნდა მივცეთ. აბა თქვენ თითონ მოისაზრეთ: პორტ-არტურის აღების შემდეგ, ტიურენჩენის, ვაფანგოუს, ლიაოიანის, მუკდენის და ტელინის შემდეგ, სულის იმდენი სიდიადე შეგვრჩა, იმდენად შეგვრჩენია ეროვნული სიამაყე, რომ დამშვიდებულის გულით ვწყობთ კვანტუნის ტყეების საქმეს. ნუ თუ ეს ცხადი ნიშანი არ არის ნამდვილ დიდებულ პატრიციულ სიმტკიცისა?!

აი კიდევ მაგალითი. მთელ რუსეთის იმპერიაში შესწყდა აკადემიური ცხოვრება; რუსეთის უნივერსიტეტების კარები დაიხურა, და როდის გაიღება, ვინ იცის; მიუხედავად ყველა ამისა, „სახალხო განათლების სამინისტრო ჟურნალი“ შეურყევლად იდგა თავის პოსტზე და, სხვათა შორის, მარტში შემდეგი წერილებით გამოვიდა:

„დასახლება იტალიის თემისა იტალიაში“, „რუსეთის ფინანსების მიმოხილვა ეკატერინე მეორის მეფობის დროს“, „პირველ მატიანის ძველი ვარიანტი“, „ჰერბერტ სპენსერი, როგორც მეტაფიზიკი“, „სად იწყება სლავიანთა ტერიტორია იორდანის ჩვენებით“, „საგლეხო რეფორმა ლიტვა-რუსეთის სახელმწიფოში მეთექვსმეტე საუკუნეში“.

როგორც ხედავთ, თითონ წერილების კრებული გვიჩვენებს, რომ ჩვენს სახელმწიფოში არ შეწყვეტილა სამეცნიერო მუშაობა თვით უბედურების დროშიაც-კი: მეცნიერები ფხიზლობენ და იფხიზლებენ კიდეც რაც არ უნდა მოხდეს. ეს კიდევ ცოტაა. სრულიად სარწმუნო წყაროებიდან შევიტყე, რომ ოფიციალურ ჟურნალის ყველა სამეცნიერო ძალები შეერთდნენ კოლექტიურ შრომისათვის და ამ მოკლე ხანში გამოვა მეტად ვრცელი გამოკვლევა „იოტა სუბსკრიპტუმ“-ზე. ამბობენ, რომ ეს „იოტა სუბსკრიპტუმ“-ი გამოვა მაისის თვეში და ორი დიდი ტომი იქნება; იმასაც ამბობენ, რომ ეს გამოკვლევა მთელ რევოლუციას გამოიწვევს რუს ფილოლოგების მსოფლ-მხედველობაშიო.

ადვილად შესაძლებელია, რომ ასეთი მოლოდინი რამდენიმედ გადაჭარბებული იყოს და ჩვენ ფილოლოგებს სრულიად შეურყეველი დარჩეთ მათი შეხედულება, მაგრამ მარტო ის გარემოება, რომ ოფიციალურ ჟურნალში ოფიციალური მეცნიერები მტკიცედ დგანან თავიანთ სახელოვან პოსტზე, ცხადათ გვიმტკიცებს, რომ რომაელები, ნამდვილი ამაყი რომაელები, ჯერ კიდევ არ გასულან ისტორიულ სცენიდან. სხვისა რა მოგახსენოთ და ჩემზე ეს „იოტა სუბსკრიპტუმ“-ი ახდენს შთაბეჭდილებას კლასიკურ სიმართლისას და სულის ნამდვილ პატრიციულ სიდიადისას. აბა, თქვენ თითონ განსაჯეთ; კურსკში პოლიციელები სცემენ მოსწავლეთ ცხვირ-პირში, სარატოვში ამათრახებენ, ყაზანში სცემენ, რითაც შეუძლიათ, ხარკოვში – სადაც მოხვდებათ და ამათი მეცნიერები კი წარბსაც არ იხრიან! იმ დროს, როცა უნივერსიტეტები იკეტება, გიმნაზიელები გაიფიცნენ, ოფიციალურ მეცნიერების სამეფოში ნამდვილ მეფური მშვიდობიანობაა და მზადდება გამოსაქვეყნებლად „იოტა სუბსკრიპტუმ“-ი. გაგონილა ასეთი სიდიადე სულისა და ნუ თუ ეს არ არის ძველ რომის ანტიური სიქველე?

და შესანიშნავი ის არის, რომ ეს სიდიადე სულისა, ეს რომაული სიქველე სჩანს რუსეთის ეხლანდელ ცხოვრების ყოველ სფე[illegible] ფინანსებისა და ბირჟის სამე[illegible] მთელი კურია ამაყ რომაელებისა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ თუ რუსულ რენტის ფასი დაეცა, ეს სულ ინგლისურ „ტაიმს“-ის უსინდისობის ბრალია.

შინაურ პოლიტიკის სფეროში ხომ სულ წმინდა რომაელები გვყავან; ბოქაულებიც კი სულ ძველ პატრიციულ ოჯახებიდან არიან. ეხლახან იყო, რომ გაზეთი „პრ. კრ.“ გვატყობინებდა: ადგილობრივმა ბოქაულმა გაუგზავნა

---

* იხ. კაუტსკის წერილის „კრიზისი ავსტრიაში“-ს თარგმანი რუსულ ჟურნალ „პრავდა“-ში, აპრილის წიგნი 1905 წლისა.

ხდის; 5. არ შეეძლოს არც ერთს ქარხნის ტრონმა მასალა მიჰყიდოს იმ მუშტარს, რო ლსაც რომელიმე ქარხნის პატრონის ფული რთებს; 6. არ შეეძლოს არც ერთს ქარხნის ტ. ტივი იყიდოს იმ მეტივისაგან, რომელიც მად ტივს შეგვატყუებს; 7. ორ ხერხზე ტი ესე იგი, ოთხ კაცზე მეტი, არ შეეძ ოს არც ერთ ხაზეიხს ამუშაოს. 8. მასალა ც დაიხერხოს, იქვე გაიყიდოს; 9. მთისპირს რეშე საწყობები.

◆ გთხოვენ ქველ-მოქმედთა ყურადღება მი ქციოთ მარიამ უთხუზოვის გაჭირვებულ ოჯახს. ხეეს მარიამ უთხუზოვს ჰყავს სნეული ქმა , რომელსაც სამი წელიწადია მუშაობა აღარ ეძლიან, და შვიდი წლის შვილის-შვილი. ხოვრობს ეს ოჯახი სიონის ქუჩაზე, ქართვე ვის სახლი, № 3.

◆ 28 აპრილს, დილის 8 საათზედ, კავკა ის ნამესტნიკის კანცელარიის მოხელემ კუზმა ამოვმა რევოლვერი დაარტყა საფეთქელში. ეაა მარცხენა თვალში გავარდა. დაჭრილი ამოვი იტანჯა შუადღემდე და შემდეგ გარ ცვალა. ეფიმოვი ქტიტორად ყოფილა ნავ ლუხში პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკკლესიაში ამ დღეებში რევიზია დაუნიშნავთ შემოსა ლ-გასავლის დავთრების შესამოწმებლად. რო რც ამბობენ, განსვენებულს საეკკლესიო ლი უნდა გაეფლანგოს.

◆ გუშინ უკვე ვწერდით, რომ პოლიციის მე-9 ნილში მოჰკლეს მეეზოვე ვინმე ალიაო. ამ საქმის სახებ გამოძიებამ აღმოაჩინა შემდეგი: 26 აპ ლს, დილის 10 საათზედ, თუმანოვის ქუჩაზედ ხურებ ყულუმბეგოვის სახლის ეზოში ნახეს მეე ვეს ქუდი და იქვე დანთხეული კაცის ტვინი და ის რამდენიმე ძვალი. კარგა ხანს კვლევა-ძიებ ს შემდეგ ამ ქუდის პატრონი აღმოჩნდა თამარის ზედ მცხოვრებ დავიდოვის მეეზოვე, ქურთის ი ავდამიოღლი (25 წლ.), რომელიც წინა დღეს ლაც გადაიკარგა. ექიმი ამბობდა, რომ მეეზოვე ლუმბეგოვის ეზოში უნდა იყოს მოკლულიო, მაგ მ გამოძიებით სხვა აღმოჩნდა. თუმანოვის ქუჩა ე ნახეს სისხლის წვეთები. გაჰყვნენ და სისხლის ლი შესწყდა კირთაძის სახლის გვერდზედ, დურ ის დავით სუკიასოვის სახელოსნოსთან. რადგან ელოსნო დაკეტილი აღმოჩნდა, ხოლო თვით კიასოვი სადღაც გადაიმალა, ეჭვი დაებადათ, მ მეეზოვე ამ სახლში უნდა მოეკლათ. პოლი ის ბოქაულის განკარგულებით, გააღეს დურგ ის სახელოსნო და ჩამუშაო დაზგის ქვეშ ნახეს ახჩრებული გვამი მეეზოვე ალი-ავდამ-ოღლისა, მელსაც თავი ჰქონდა დაჩეჩქვილი, ყური და ითი მოჭრილი და სხვ. იქვე ეგდო დასისხლიანე ლი ნაჯახი. როგორც პოლიციის ცნობებიდანა ან, მეეზოვე თვით სუკიასოვს უნდა მოეკლას ჯა ის ამოსაყრელად. რამდენსამე მეეზოვეს გამოჰკი ეს ამ საქმის შესახებ და მათ განაცხადეს, რომ აპრილს ჩვენთან მოვიდა ერთი მეშუშე და გა ეცხადა, ფართუკები მოიმზადეთ, მეეზოვეს ნი ნი აიხადეთ, ამ სამსახურს თავი გაანებეთ, თო მ აქვენც ის დაგემართებათ, რაც მოუვიდა 26 რილს ალიას, რომელმაც პოლიციას ამბები მი ტანა, როცა ღარიბმა ხალხმა რკინის გზის ლიან გს იქით სამოსახლოდ ადგილები მიიზომაო. კიასოვი და მეშუშე, რომლის გვარი არ იციან, გა მალნენ და პოლიციამ ჯერ მათ კვალს ვერ მი ო.

◆ ქალადიდი. 23 აპრილს სოფელ ხორგის ხოვრები ბევი ბარქაია რკინის გზის ლიანდაგზე მოვიდა ცხენით და ნაპირ-ნაპირ მიდიოდა. უეც წამოეწია მატარებელი, დაეტაკა და ცხენი და ვირი მტვრად აქცია. საბედნიეროდ, კაცი განზე ვარდა და ამან გადაარჩინა.

◆ 28 აპრილს ტფილისის საგუბერნიო ხაზინაში ეც ალექსანდრე აზოტოვის სახელზე მოვიდა ლებად ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობი გამოგზავნილი 8722 მან. გამოძიებით გამოირკვა, მ ეს საქმე ყალბად ყოფილა შედგენილი თვით აზოტოვის მიერ. ეს უკანასკნელი ხაზინაში ამ ლის მისაღებად არ მისულა და, როგორც ეტ ბა, გაუგია, რომ სიყალბე შეუტყეს, და სადღაც მალა. პოლიცია დაეძებს.

◆ ახალი-სენაკი. 22 აპრილს სენაკის სა ლციო ბოქაულის მოადგილე ნიკო ჩიქოვანი სახურის ასრულების დროს უეცრად ძირს დაეცა ნიდან და გარდაიცვალა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ გუშინ თოფურიას საავადმყოფოში გარდაიცვალა 14 თებერვლისა—ნოქარი დიდ-ჯიხაიშელი კუჭაძე. დღეს უნდა გამოესვენებინათ მიცვალებული და წაეღოთ სოფლათ. გენ. გუბერნატორისაგან ნებართვა აღებული იყო და ყოველივე გამზადებული მიცვალებულის პატივისაცემად. გვირგვინებიც ბლომად იყო. ხოლო, დილით რო მივიდნენ საავადმყოფოსთან, იქ დარაჯად დაუხვდა ორმოცი ყაზახ-რუსი. აცნობეს ხალხს—მიცვალებული უკვე გაასვენესო. ღამის თორმეტს საათზე გამოეტანათ კუბო ერთის მეკუბოვესაგან, გამოეყვანათ ბალდახინიც და ხონისკენ გაესვენებიათ მიცვალებული.

◆ 25 ამა აპრილიდან თუმცა მოელოდნენ, რომ აქაურ ყველა სასწავლებელში ნორმალურ წესით დაიწყება მეცადინეობაო, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ზოგან სულ არ არის სწავლა, ზოგან მარტო უმცროს კლასებში, და უფროს კლასიანებს-კი ეგზამენების დაჭერა მოსთხოვეს ან ეხლავ, ან მარიამობისთვეში. ბევრნი სულ უარს ამბობენ ეგზამენების დაჭერაზე ახლაც და შემდეგშიაც, ზოგი იჭერენ, ერთის სიტყვით, არავითარი წეს-რიგი არ სუფევს ჯერ-ჯერობით.

◆ ამ აპრილს ცუდი ამინდები ძალიან ხელს უშლის ყოველგვარ მიწის მუშაობას. წვიმები და სიცივეებია. ვენახები და სხვა ნამყოფი ერთობ დაზიანებულია. არავითარი გაზაფხულის გემო არა აქვს წლევანდელს გაზაფხულს.

ტრამვაიადა

14 აპრილი

სრული თექვსმეტი დღეა ტრამვაის მოსამსახურენი გაიფიცნენ, რადგან უსახელო საზოგადოებამ არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები.

ტრამვაის მოძრაობის შეჩერება დიდი დასაკლისია ქალაქის მცხოვრებთათვის, რასაკვირველია, უფრო ღარიბებისათვის, რომელთაც ეტლის ფულის გადახდა არ შეუძლიათ. მოგებული ვერც უსახელო საზოგადოება უნდა იყოს. თვით მოსამსახურენი ხომ მით უფრო. მოგებული მარტო მეეტლენი არიან.

მაშ ვისი ბრალია, ვინ არის მიზეზი ამ ყველასათვის საზარალო მოვლენისა?

საზოგადოებაში, ამ ბოლოს დროს მაინც, გაისმის საყვედურები მოსამსახურეთა მიმართ: მათი მოთხოვნები გადაჭარბებულია, ტრამვაის საზოგადოებას არ შეუძლია მათი დაკმაყოფილება, ჯიუტობაა მოსამსახურეთა მხრივ გაფიცვის განგრძობაო.

საყვედური ყოვლად უსაფუძვლოა. მუშა კაცი ადვილად ვერ მიატოვებს საქმეს, რომელიც მას ლუკმა პურს აძლევს; თუ ხანდახან ფეხის ხმას აჰყვებიან და უსაფუძვლოს რასმე თხოულობენ, დიდხანს თავის დღეში ვერ გასტანენ, მალე გატყდებიან და მუშაობას იწყებენ. სრული თექვსმეტი დღე გაფიცვა სახუმრო საქმე არ არის; აქ ნამდვილ სერიოზული მიზეზებია.

წაიკითხეთ ტრამვაის მოსამსახურეთა პირველ სხდომის ანგარიში, წაიკითხეთ ა. გუბინის წერილი „ნ. ო“-ში და თქვენც დარწმუნდებით.

კონდუქტორი იღებდა და იღებს, ორთა შუა რიცხვით, მხოლოდ 17 მანეთ ნახევარს თვეში; მუშაობა-კი მძიმე და ძნელია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ელექტრონის ტრამვაი მუშაობს. ამ ფულით ცხოვრება შეუძლებელია ქალაქში, განსაკუთრებით ცოლშვილიანებისათვის.

აქამდე ტრამვაის ყოველი მოსამსახურე დღიურ მუშად ითვლება, თუნდა 10—15 წელიწადი ემსახურნოს.

ტრამვაის გამგეობას არა აქვს არავითარი დაწესებულება თავის მოსამსახურეებისათვის — არც აბანო, არც საავათმყოფო, არც სამკითხველო, არც სკოლა, არც დამხმარებელი კასსა.

ერთის სიტყვით, გამგეობას მხოლოდ ის აინტერესებს, რომ ამუშაოს ხალხი, ფული ბლომად მოიგოს და მუშებს-კი გროშები არგოს.

ასეთ პირობებში განა გასაკვირველია მოსამსახურეთა უკმაყოფილება?

მოითხოვეს თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესება და როგორ შეხვდა უსახელო საზოგადოების გამგეობა ამ მოთხოვნას?

მოსამსახურეებმა 2 აპრილს ვადა დაუდვეს—12 აპრილამდე მოგვეცით პასუხი ჩვენს მოთხოვნებზეო. 12 აპრილს ერთი შეღავათი კიდევ მისცეს დირექციას—ოთხი რამ დაგვითმეთ ეხლავე: 8 საათის სამუშაო დღე, ჯამაგირის მომატება, ფორმის ტანისამოსის ფული და უფასო წამლობა-ექიმობა, და მოძრაობას არ შევწყვეტთ, სანამ ბრიუსელში არ განიხილვენ ჩვენ დანარჩენ მოთხოვნებსაო. დირექციამ არა ჰქნა.

როგორც იქნა, ბრიუსელიდან ჩამობრძანდა კამპანიის წარმომადგენელი ბატონი მუტრიე, მაგრამ რისთვის? ერთხელაც არ უცდია მოლაპარაკებოდა გაფიცულებს. ბოლოს ქალაქის თავი ჩაერია საქმეში და მოახერხა 27 აპრილს მოეხდინა შეერთებული თათბირი გაფიცულების დელეგატებისა და დირექციის წარმომადგენლებისა.

მერე რა მოხდა ამ თათბირზე?

დირექციის წარმომადგენლებმა მოსთხოვეს გაფიცულების დელეგატებს: უეჭოდ სრული ვექილობა უნდა გქონდესთ თქვენის ამხანაგებისა, რადგან ჩვენც ამ გვარი ვექილობა გვაქვს, და საბოლოოდ მოვილაპარაკოთო. დელეგატებმა უპასუხეს—მზად ვართ ვიკისროთ ჩვენის ამხანაგების დათანხმება ყველა იმ პუნქტზე, რომელზედაც ჩვენ დავთანხმდებითო.

შეუდგნენ მოლაპარაკებას: ზოგში შეთანხმდნენ, ზოგში არა, მაგრამ თათბირის დასასრულს დირექციის წარმომადგენლებმა განაცხადეს—სრული ვექილობა არა გვაქვს და ბრიუსელში უნდა შევეკითხოთო. შეიძლება კაცს რაიმე ნდობა ჰქონდეს ასეთ დირექციისა?

მეორე დღეს კიდევ უარესად მოიქცნენ დირექციის წარმომადგენელნი: 27 რომ მიიღეს ზოგი მოთხოვნა, 28 ისევ უარი სთქვეს ან შესცვალეს. ასეთ დირექციასთან რომ მოსამსახურენი მტკიცენი იყვნენ, წარმოუდგენელია.

რა მუხლები მიიღო დირექციამ და რა არა? რვა საათის სამუშაო დღეს იძლევა დირექცია; ჯამაგირის მომატებაზე გადაჭრილი უარი სთქვეს; მხოლოდ სტოროჟებსა და მუშებს გაუხადეს 80—90 კაპეიკი; კვირა-უქმე დღეებზე ორი ქირის მიცემაზე უარი უთხრეს; აღდგომას, შობას და ახალწელიწადს მოგცემთ ორ ფასსო, სთქვეს 27-ის სხდომაზე და 28-ს კი სულ უარი სთქვეს; ბინის ფულს არ იძლევა დირექცია, არც ჯილდოს; ფორმის ტანისამოსისთვის 27 აპრილს 25 მანეთს იძლეოდნენ, 28-ს კი 18 მანეთზე ჩამოვიდნენ; უფასო ექიმი და წამლობა იქნება მხოლოდ მოსამსახურეთათვის და არა მათ ოჯახებისათვის. ყველაზე დამახასიათებელია ტრამვაის დირექციისათვის შემდეგ ორ მუხლის უკუგდება: მოსამსახურენი თხოულობდნენ, რომ ავადმყოფ ამხანაგს ადგილი შენახოდა წლის განმავლობაში და ჯამაგირი მისცემოდა ორის თვისა; ყოვლად შეუძლებელი არის ამ მუხლის მიღებაო; მოსამსახურენი თხოულობდნენ, რომ სამსახურის დროს დაშავებულს ჯამაგირი ჰქონებოდა, სანამ მორჩებოდა. დირექციის წარმომადგენლებმა ბრძანეს—არამც და არამც არ გაბედოს დაშავებულმა ორ კვირაზე მეტი ავადმყოფობა; მერე ჯამაგირს მოვუსპობთო. შესაძლებელია, ასეთ მუხლზე უარი თქვან მოსამსახურეებმა? შრომის უნარის დამკარგველს მაშინ მიეცემოდ შემწეობას და ამდენს, როცა და რამდენსაც სასამართლო გადაწყვეტსო; 27 აპრილს დირექცია თანახმა იყო, რომ წელიწადში ერთხელ ორის კვირით სახლში წასვლა შესძლებოდა მოსამსახურეს და ჯამაგირიც მისცემოდა ამ ორის კვირისა; მაგრამ, ალბად, შეშურდათ და მეორე დღეს გამოაცხადეს—ერთ კვირაზე მეტს ვერ გავანთავისუფლებთო. მოსამსახურენი თხოულობდნენ საამხანაგო სამართალს, რომ უსამართლოდ დათხოვნა მოსამსახურისა არ განმეორებულიყო შემდეგშიაც; ამ მუხლის განხილვას, სხვათა შორის, დაესწრება პეტერბურგელი ადვოკატი ტესლენკო და დირექციასაც მიუღია; მეორე დღეს დილით უარი უთქვამს, მაგრამ საღამოს ისევ დასთანხმებულა. დამხმარებელ კასსის დაარსებაზე შეთანხმდნენ: თანხა უნდა შესდგეს ძველ და ახალ ჯარიმებიდან; დირექცია თავის მხრივ წლიურად 1000 მანეთს გაიღებს. ამხანაგების რეკომენდაციით დაინიშნოს უფროს თანამდებობის პირებიო, თხოულობდნენ მოსამსახურენი, მაგრამ დირექციას ეს სასურველად ვერ დაუნახავს. ერთის მუხლის ისტორიაა კიდევ საინტერესო: გაფიცვის დროის ფული მოგვეცესო. დირექციამ სთქვა 3000 მანეთს მოგცემთ და დაკმაყოფილდითო; მოსამსახურენიც დაკმაყოფილდნენ, მაგრამ მეორე დღეს დირექციამ გამოუცხადა მათ—ამ 3000 მანეთს ძველის ჯარიმებიდან მოგცემთო, ე. ი. ერთის ჯიბიდან უნდა ამოიღონ ფული მოსამსახურეთ და მეორე ჯიბეში ჩაიდონ.

როგორც ვიცით, მოსამსახურეებმა მოითხოვეს მოძრაობის უფროსის შენკერტისა და აქიმვართანოვის დათხოვნა; ბრიუსელში უნდა შევეკითხოთ, სთქვეს ამაზე დირექციის წარმომადგენლებმა. ამ ორ პირს ისე შეუძულებიათ თავი ყველასათვის, რომ არაფრის გულისთვის არ აპირებენ მუშაობის დაწყებას, სანამ ამათ არ დაითხოვენო.

რაკი ბევრ მუხლში ვერ შეთანხმდნენ მოსამსახურეთა დელეგატები და დირექციის წარმომადგენელნი, დელეგატებმა წინადადება მისცეს დირექციას—სამედიატორო სამართალს მივმართოთ და იმას დადგენილებას დავემორჩილოთო. დირექცია ამას გამო შეეკითხა ბრიუსელში დეპეშით და დღეს პასუხი უნდა მიიღოს.

სამედიატორო სამართლამდე ტრამვაის მოძრაობა არ დაიწყება.

ეხლა თვით მკითხველმა განსაჯოს ვინ არის პასუხის მგებელი, რომ ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია.

შეთანხმება

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამას წინად გაიფიცნენ რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურენიც. 25 აპრილს უკვე შეთანხმდნენ მოსამსახურენი და ბუფეტების პატრონნი. მოგვყავს პირობის ქაღალდი:

1. 8 საათის მუშაობის შესახებ: რადგან მატარებლების მიმოსვლა სადგურებზე ხდება სხვა-და-სხვა დროს, ამიტომ თითოეულ ბუფეტის პატრონი კერძოდ უნდა მოურიგდეს ბუფეტის მოსამსახურეებს; 2. მიეცეს ბინა ჰიგიენურად მოწყობილი, სადაც შეიძლება რამდენიმე კაცი მოთავსდეს ბინის სივრცის კვალობაზე, ანუ ბინის ფული; 3. შეგირდები მიღებულ იქნან არა უმცირეს 17 წლისა; 4. წელიწადში ერთი თვის თავისუფლება ჯამაგირის შენახვით იმათ, ვინც სრულ წელიწადს იმსახურებენ. ამათ არა აქვთ ნება ამ თავისუფლების დროს სხვაგან სამსახურზე დადგენ; 5. ავადმყოფობის დროს აღმოუჩინოთ საჭირო შემწეობა წამლით თუ მკურნალობით და ეძლეოდეთ ჯამაგირებიც ერთის თვის განმავლობაში ადგილის შენახვით ამავე დროს განმავლობაში, თუ იგი ავადმყოფობა ვენერიული არ იქნება; მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას სამსახურიდან ავად გახდომის დღიდან და არც სარგებლობს ზემო აღნიშნულ შეღავათით; 6. ბუფეტის პატრონებს არ ჰქონდეთ ნება მოსამსახურეების უმიზეზოდ დათხოვნისა; 7. პატრონებმა უნდა გამოუცხადონ მოსამსახურეებს, როდესაც დათხოვნა უნდათ, ერთის კვირით ადრე, აგრეთვე მოსამსახურეები ვალდებულნი არიან, ერთის კვირის წინ გამოუცხადონ წასვლის ამბავი; თუ არ გამოუცხადა და პატრონმაც დაითხოვა, ვალდებულია ერთი თვის ჯამაგირი მისცეს; 8. დაენიშნოს სტოლზე მოსამსახურეებს ჯამაგირი 15 მანეთი თვეში; 9. ჯამაგირების მომატება ხდებოდეს ღირსების კვალობაზე, ურთიერთ შორის შეთანხმებით; 10. მიეცეთ სტოლზე მოსამსახურეებს იმ ერთი თუმნის ანგარიში თვეში თანახმად შარშან კრებაზე დადგენილებისა, რომელნიც უჯამაგიროდ მსახურებდნენ, თუ იმათ მხრითაც იყო ეს დადგენილება შესრულებული; 11. სხვა მოსამსახურეებს, რომელთაც თვეში თხუთმეტ მანეთამდე აქვთ, მიემატოს 25%; იმათ, რომელნიც თხუთმეტ მანეთზე მეტს იღებენ, იმათის ჯამაგირის მომატება ხდებოდეს ურთიერთ შორის შეთანხმებით; 12. უჯამაგიროდ არავინ იქნას მიღებული; 13. სამსახურის გაუმჯობესებაზე გაფიცვისთვის არავინ იყოს დათხოვნილი; ამავე გაფიცვისთვის დათხოვნილი მოსამსახურეები მიღებულ იქნან ძველ ადგილზე; 14. ჯამაგირები ყოველ თვის ბოლოს ეძლეოდეს ყველას; 15. სასადილო დრო განსაზღვრული იყოს მოსამსახურეებისთვის; 16. ნისიები სტოლზე მოსამსახურეებმა არა ზღონ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარუდგენს ბუფეტის პატრონს ნისიის წამლებს; 17. ფრაკეულობა უნდა ჩაბარდეს სტოლზე მოსამსახურეებს აღწერილობით, და ამაში პასუხის მგებელნიც მოსამსახურენი არიან; 18. ფორმა ჯერ-ჯერობით დარჩეს, მხოლოდ ვიშუამდგომლოთ, რკინის გზის მმართველობასთან იმის მოსპობის შესახებ; 19. ზრდილობიანი მოქცევა ორთავ მხრით.

რუსეთის ქრონიკა

მოძრაობა ვარშავაში. 18 აპრილის შემდეგაც ყოფილა მღელვარება ვარშავაში. „ვარშავსკი დნევნიკ“-ის სიტყვით, სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს პატივი ეცათ 18 აპრილის დახოცილების ხსოვნისათვის და 21 აპრილს ბრძანება გასცეს, რომ დაეკეტნათ ყველა ფაბრიკა-ქარხნები, სახელოსნოები, მაღაზიები და რედაქციები. წესიერების დასაცველად ქუჩებზე დადიოდნენ სამხედრო პატრულები. ეტლების მიმოსვლა თითქმის სრულიად შესწყდა.

ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში ვარშავის მაღაზიებში სულ წითელ ჰალსტუხებსა და ლენტებს ყიდულობდნენ. მაღაზიებმა სულ დაჰყიდეს, რაც ჰქონდათ ამ გვარი საქონელი და ბევრი ფულიც მოიგეს, რადგან ფასები ასწიეს.

ებრაელების აწიოკება მელიტოპოლში. აღდგომის მეორე დღეს დიდი არეულობა მომხდარა ქალაქ მელიტოპოლში. საღამო ხანს ამწიოკებელთ თავი მოიყარეს კარუსელების ახლო: ჩამობნელება რომ დაიწყო, კარუსელები დაამტვრიეს, ბუდკა გადააბრუნეს და ალექსანდრე-ნეველის ქუჩით ქალაქს ეცნენ. ჯერ საკონდიტეროს მივარდნენ, შემდეგ მზა ტანისამოსის მაღაზიას; მოინდომეს ცეცხლის წაკიდება, მაგრამ ვერ მოახერხეს. შემდეგ მიჰყვნენ სხვა მაღაზიებსა და დუქნებს; ზოგს ცეცხლი წაუკიდეს, ზოგს ვერა. ამასობაში მოვიდნენ შეიარაღებული მცხოვრებნიც და რევოლვერები ესროლეს ამწიოკებელთ. ესენიც აქეთ-იქით გაიფანტნენ და ეხლა სხვა ადგილებში განაგრძეს ძარცვა-რბევა. შეიქნა ზარების რეკა და შიშიანობაც უფრო გაძლიერდა. ერთი აფთიაქი იმით გადარჩა, რომ რევოლვერების სროლით შეხვდნენ იქ მოსამსახურენი. ბაზრის მოედანზე ამწიოკებლებმა გაძარცვეს რამდენიმე მაღაზია და ცეცხლიც წაუკიდეს.

ცეცხლი გაძლიერდა და შუაღამისას უკვე ოცამდე დუქანი იწვოდა, აგრეთვე მუშანსკის სახლში მობინადრე მაღაზიებიც. საბედნიეროდ, მცხოვრებლებმა მალე მოაწყვეს თავის დაცვას საქმე და ამწიოკლების მოქმედებას ბოლო მოუღეს.

პოლიცია? არსად არ სჩანდა, სანამ არ გათავდა მთელი არეულობა: მხოლოდ 12 საათზე გამოჩნდნენ პოლიციელები წესიერე-

---

ვის უფროსს შემდეგი მოხსენება—„ამა და დღეს ჩემდამი რწმუნებულ საბოქაულოში ნეს მიწის ძვრა, მაგრამ პოლიციის ღონისძიებით სულ მალე იქმნა მოსპობილი“.

რ ვიცი, მკითხველო, შენ რა აზრისა ხარ, რამ მე კი ვფიქრობ, რომ ამ რაპორტში, ორც ფოკუსში, თავმოყრილია რუსეთის ეხ ედელ ცხოვრების მთელი შინაარსი და მთე მეფური სიამაყე დღევანდელ პეტერბურგელ ებისა. დიახ, რაც არ უნდა მოხდეს, არა ის არ უნდა გვეშინოდეს: მუქდენის საშინე კატასტროფა, მუშების გაძლიერებული მო ბა, აგრარული უწესოებანი, გაფიცვა პრო- ორების და მოსწავლეების, ცეცხლ მო ებული ქარხნები, ბომბების აფეთქება ქუ —ყველაფერი ეს წვრილმანია, ყველაფერი მბა „პოლიციის ღონისძიებით“.

„ობრაზოვანიე“ № 3.

წითელი სიცილი

ან. ჩეხოვის სახსოვრად

ნარკვევი ნაპოვნ ხელთნაწერიდან.

ნაწყვეტი მეთექვსმეტე.

ვერ მერვე დღეა, რაც ბრძოლა გრძელ ბა. დაიწყო იგი წარსულ პარასკევს, გავიდა ბათი, კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშა თი, ხუთშაბათი, კვლავ დადგა და გავიდა პა სკევი, ის-კი სულ გრძელდება. ორი ლაშქარი, ვნარი ასიათასს კაცისაგან, დგას ერთი ორის პირ-და-პირ, განუწყვეტლივ სთავაზებ ერთმანეთს ასაფეთქ, მთრახსხე ყუმბარებს ვე წამს ცოცხალი ხალხი იღუპება უთვალავად. ამ რახრახზედ, ამ განუწყვეტლივ ჭექის მოძრაობაზედ, შედრკა თვით ცა და შეჰკრიფა მთრთოლვარე ღრუბლები და მრისხანე მეხი—ისინი-კი განაგრძობენ ერთი მეორის პირ-და-პირ დგომას და ხოცვა-ჟლეტას უკან დაუხევლად. თუ კაცმა სამი ღამე ზედი-ზედ არ იძინა, იგი ავადა ხდება და მეხსიერება უჩლუნგდება, იმათ-კი აგერ მთელი კვირაა, რაც თვალი არ მოუხუჭავთ, მთლად გიჟები არიან. უძილობა მათ ავად როდი ჰხდის, როდი ახევინებს უკან, ისინი მედგრად იბრძვიან იმ დრომდე, ვიდრე ერთმანეთს მთლად არ ამოჰჟლეტავენ. იუწყებიან, ზოგიერთ ალაგას იარაღი არა ჰყოფნიდათ და ისინი იბრძოდნენ ქვებით, ხელებით, კბილებით, ვით ძაღლები. თუ ვინმე მათგანი დაბრუნდებაან სახლში, იმათ ეშვები, ექნებათ ვით მგლებს, მაგრამ ისინი ვერ დაბრუნდებიან, რადგანაც ყველანი შეცდნენ ჭკუიდან, ამიტომ ამოჰხოცავენ ერთმანეთს. შესცდნენ ჭკუიდან. იმათ თავში ყველაფერი აირივ-დაირია, არაფერი არ ესმით: ერთბაშად რომ მოაბრუნონ ისინი მეორე მხარეს, კვლავ განაგრძობენ ჟლეტას, ჟლეტას თავისიანებისას, იმათ-კი ეგონებათ, მტერზე მივაქვს იერიშიო.

უცნაური ხმები დადის... უცნაური ხმები, რომელსაც აუწყებენ ჩურჩულით, თრთოლვით მის საშინლებისაგან და ველურის წინაგრძნობებისაგან. ძმავ, ძმავ, მისმინე, რას ამბობენ წითელ სიცილზედ! ვითომ გაჩნდნენ აჩრდილთა რაზმები, მთლად ცოცხლების მსგავსნი. დამღამობით, როცა გონება-გამოცლილი ხალხი ივიწყებს თავს ძილში ან კიდევ დღის ცხარე ბრძოლაში, როდესაც თვით ნათელი დღე ხდება მოჩვენებათ, ისინი ჩნდებიან ერთბაშად და ისვრიან მოლანდებულ ზარბაზნებიდან, ავსებენ ჰაერს მოლანდებულ აურ-ზაურით; ცოცხალი, მაგრამ ჭკუაზედ შეშლილი ხალხი თავზარ დაცემულნი ამ მოულოდნელობით ებრძვის სასიკვდილოდ მოლანდებულ მტერს, გიჟდება შიშისგან, ერთბაშად ჭაღარავდება და იხოცება. ეს აჩრდილები, ისეთისავე სასწრაფოთ, როგორც გაჩნდნენ, ჰქრებიან და დედა-მიწას იცავს კვლავ მყუდროება, მიწაზედ-კი გაშხლართულან ახალი დამახინჯებული ცხედრები. ვინ დახოცა ისინი? შენ იცი, ძმავ, ვინ დახოცა ისინი?

როდესაც თავდება ორი ბრძოლა დგება მყუდროება და მტერი შორის მანძილზეა, ერთბაშად ღამის სიბნელეში ისმის ერთად-ერთი შეშინებული თოფის სროლა. ყველანი ხტებიან ზეზე. ყველანი ისვრიან ბნელ სივრცეში, ისვრიან დიდხანს, მთელის საათობით ამ დამუნჯებულ, უპასუხო სიბნელეში. ვის ხედავენ ისინი იქ? ვინც საშიშია მას ეჩვენება თავისი შესაზარი დამუნჯებული სახე, მგზნებარე საშინლებით და უკუნურებით? შენ იცი, ძმავ, და მეც ვიცი, მაგრამ ხალხმა კი არ იცის ჯერ. ჰგრძნობენ ისინი და მთრთოლვარენი კითხულობენ: რად არიან ამდენი გიჟები, წინად ხომ არ იყვნენ ამდენნი?

წინად ხომ არ იყო ამდენი გიჟი? ამბობენ, ფითრდებიან და უნდათ დაიჯერონ თავიანთი თავები, რომ ეხლაც ისევ ისეა, როგორც წინად, რომ მსოფლიო გონებას ძალმომრეობა არ შეეხება მათ პაწაწკინტელა, სუსტ ჭკუას.

ხომ იბრძოდა ხალხი წინადაც, ყოველთვისაც და არაფერი ამისთანა არ მომხდარა არას დროს? ბრძოლა—ცხოვრების კანონია, ამბობენ ისინი დინჯად და წყნარად, და თვით კი ფითრდებიან, ეძებენ თვალებით ექიმს, და აჩქარებით ყვირიან: ჩქარა, ერთი ჭიქა წყალი!

ესე დიდის სიამოვნებით იკისრებენ რეგვენობას, ოღონდ კი არ იგრძნონ, როგორ ღელავს მათი გონება, როგორ იხშობა მათი გონიერება ამ უთანასწორო ბრძოლაში უაზრობასთან. ამ დღეებში, როდესაც იქ ხალხი იქცევა მძორად, ვერსად ვერ ვპოვე მოსვენება, დავრბოდი ხალხში, მესმოდა ძლიერ ბევრი ლაპარაკი, ვხედავდი ბევრს საზიზღარ მოღიმარეთა, რომელნიც ირწმუნებოდნენ, რომ ომი ძლიერ შორს არის და მათ სრულიად არ ეხებათ ეს. მაგრამ უფრო მეტი შიშველა სამართლიანი საშინლება ვიხილე მე, უიმედო, ჩამწარებული ცრემლები, აღმონახეთქი უიმედო სასოწარკვეთილებისა, როდესაც თვით დიდებულ გონებასაც-კი, მიუხედავად უსაზღვრო თავშეკავებისა ამოჰკვნესინებდა ადამიანს თავის უკანასკნელს ვედრებას, თავის უკანასკნელს წყევლას:

„როდის მოეღება ბოლო ამ უგუნურ ჟლეტას!“

ჩემს ნაცნობებთან, რომლებთანაც დიდი ხანი არა ვყოფილვარ, მგონია რამდენიმე წელიწადი, მოულოდნელად შევხვდი გაგიჟებულ აფიცერს, დაბრუნებულს ომიდან. ის იყო ჩემი ამხანაგი სასწავლებელში სწავლის დროს, მაგრამ მე ვერ ვიცანი იგი; ვერ იცნო იგი თვით მშობელმა დედამაც—მთელი წელიწადი რომ წოლილიყო ის საფლავში და დაბრუნებულიყო შინ, მაშინ უფრო მიემსგავსებოდა თავის თავს, ვიდრე ეხლა. მთლად გათეთრებულიყო ჭაღარისაგან; პირისახე ოდნავ გამოსცვლია, მაგრამ ის გაჩუმებული უგდებს ყურს რაღაცას—და ამის გამო მას სახეს ესობა მრისხანე ბეჭედი ისეთის შორეულობისა, ისეთის სიუცხოვისა, რომ საშიშია მასთან გამოლაპარაკება. როგორც გადასცეს მშობლებს, ის შეცდარა ჭკუაზედ ასე: ისინი იდგნენ რეზერვში, როდესაც მეზობელმა პოლკმა ხიშტებით იერიში მიიტანა. ხალხი მირბოდა და ყვიროდა „ურას“ ისე ხმამაღლა, რომ აღარ ისმოდა სროლის ხმა—ერთბაშად შესწყდა სროლა—და შეჩერდა ყვირილი. ამ დროს ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე: ამათ მიირბინეს და იწყეს ხიშტებით ბრძოლა. ამ სიჩუმეს ვერ გაუძლო მისმა გონიერებამ.

ის წყნარად არის, როდესაც მასთან ლაპარაკობენ, ხმაურობენ, ყვირიან—იგი ყურს უგდებს და უცდის რაღაცას; მაგრამ ჩამოვარდება თუ არა წუთიერი სიჩუმე, იმ წამსვე ის იტანს თავზე ხელებს, ეცემა კედელს, ავეჯს და ბორგავს, ვით ბნედიანი. მას ბევრი ნათესავები ჰყავს და ისინი ჯერ-ჯერით არიან მასთან, ახმაურებენ იქაურობას, მაგრამ დგება ღამეები, გრძელი, მდუმარე.—აქ მოჰკიდა ხელი საქმეს მისმა მამამ, აგრეთვე ჭაღარამ და ცოტათი ჭკუაზე შემცდარმა. მან დაჰკიდა ოთახში საათი, რომელიც განუწყვეტლივ ჩხრიალებს და უდრო უდროვოდ რეკავს, ეხლა უკეთებს კიდევ რაღაცა თვალს, რომელიც მიეგვანება განუწყვეტლივ ჭრიჭინას. ყველას იმედი აქვს ამის მორჩენისა, რადგან იგი მარტო ოცდა-შვიდი წლისაა; ეხლა ისინი მხიარულადაც კი არიან. მას აცმევენ ძლიერ სუფთად—არა აფიცრის ტანისამოსს—უვლიან, მის გათეთრებულს თმას და ახალგაზდა დაფიქრებულ, პატიოსნურ, აუჩქარებელ სახეს, რომელსაც თითქმის სილამაზის ფერიც დაჰკრავს.

(შემდეგი იქნება)

ი. ხირსელი

ბის აღსადგენად, როცა ამ წესიერებას უკვე არავინ არღვევდა.

ცეცხლი დილამდე მძვინვარებდა და იმსხვერპლა ორმოცამდე სავაჭრო სადგომი. (ნ.).

პეტერბურგელ რედაქციების შეთანხმება. თორმეტ ყოველდღიურ გაზეთის გამომცემლებმა და რედაქტორებმა („ბირჟევია ვედ.", „ნაშა ჟიზნ", „ნოვოსტი", „პეტერბ. ვედომოსტი", „პეტ. ლისტოკ", „რაზსვეტ", „რუს", „რუსკაია გაზეტა", „გეროლდ", „სლოვო", „სვეტ" და „სინ ოტეჩესტვა") ერთხმად დაადგინეს: 1. არ გამოუშვან ორშაბათობით ნომერი (კვირას დასვენება), 2. არ გამოუშვან ნომერი აგრეთვე შემდეგ აღდგომის პირველ ორ დღისა, ექვს დეკემბრისა, შობის პირველ და მეორე დღისა; 3. ამ დღეებში უნდა გამოვიდეს მხოლოდ დეპეშები, მთავრობის განკარგულებანი და გამოსადეგი ცნობები.

სულ წლის განმავლობაში თავისუფალი დღე ექნებათ ასოთ-ამწყობებს 56. ასოთამწყობებმა მოითხოვეს, რომ ახალწელიწადსა და ხარებასაც არ ყოფილიყო მუშაობა. რადგან ეს უქმეები ამ წელიწადში უკვე იყო, ამიტომ ამ საკითხის განხილვა გადაიდო წლის ბოლოსათვის.

დონის ოლქის მცხოვრებთა მოთხოვნანი. 7 აპრილს კამენსკაია სტანიცაში ოლქის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თავმჯდომარეობით შესდგა კრება ადგილობრივ მცხოვრებთა და შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს (კრებას დასწრებია ბევრი სამხედრო პირი და სამოქალაქო მოხელენიც):

1. სახელმწიფოს მოწყობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი უნდა შეიმუშაოს ხალხის წარმომადგენლებმა, რომელნიც არჩეულ უნდა იქმნენ საყოველთაო, პირდაპირის და ფარულის კენჭის ყრით.

2. ხალხის წარმომადგენლობა უნდა იქნეს მუდმივი დამოუკიდებელი დაწესებულება, ზემოთ ნახსენებ საარჩევნო წესზე დამყარებული.

3. ხალხის წარმომადგენლობას უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო მოქმედების უფლება, აგრეთვე უფლება საკანონმდებლო ინიციატივისა, სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცებისა და ადმინისტრაციის კანტროლისა.

4. ამ უმთავრეს რეფორმის ასასრულებლად კი აუცილებელია, რომ დაუყოვნებლივ უზრუნველ ყოფილ იქნას იმპერიის ყველა მცხოვრებთათვის განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა ხელუხლებლობა პიროვნებისა და ბინისა, თავისუფლება სიტყვისა, წერისა, შეკრებისა, შეკავშირებისა, გაფიცვისა და თანასწორობა ყველა ენებისა; აუცილებელია აგრეთვე ამნისტია ყველა პოლიტიკურ დანაშავეთა.

წერილები

ნიკორწმინდა (რაჭა). ამას წინად ნიკორწმინდის საზოგადოების კანცელარიაში შეიკრიბა ხალხი და მამასახლისს გამოუცხადა, რომ სკოლა აღარ გვინდა და უნდა დაიხუროსო. აქ არის ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა სააგრონომიო განყოფილებით. თავისს უკმაყოფილებას სკოლის შესახებ რამდენიმე მიზეზით ხსნიან გლეხები: ისინი ამბობენ: სკოლაში მეტადს არა, გვყავს შვილები და ფულს ყველანი ტყუილად ვიხდითო. ამასთან იქიდან გამოსულ ბავშვს ქართული წერა-კითხვა ძალიან ნაკლებად გაეგებაო. ამიტომ, თუ სკოლაში სწავლება ქართულად და უფასოდ (თუ უფასოდ არა, ვინც ისწავლის იმან გადაიხადოს სწავლის ფული) არ იქნება, სკოლა აღარ გვინდაო. ამასთან საგრონომიო განყოფილების წინააღმდეგნიც ძალიან არიან. ამბობენ, წელიწადში სამასი მანეთი გვეხარჯება მასწავლებლის ჯამაგირად და ჩვენი შვილები სამის გროშისასაც ვერაფერს სწავლობენ იმისაგანაო. დღეს დღეობით სკოლაში სწავლა შეწყვეტილია. ამას გარდა არა ნაკლები მითქმა-მოთქმა აქვთ აქაურებს ტყის თაობაზე. ნიკორწმინდის მთა ამ ოცდა ხუთის წლის წინად დაუკავებელი იყო და თავისუფლად სარგებლობდნენ მცხოვრებლები. რა კი დააკავა ხაზინამ, მას აქეთ უბაჟოდ ისინი ველარა სარგებლობენ. ხანდახან ბაჟის მიცემაც ვერა შველის მცხოვრებთ, რადგან ტყის მოხელეებისაგან ათასნაირი შევიწროება ადგიათ. მარტის 28 რიცხვს ვიღაცამ დასწვა ტყის მცველების საყარაულო „ბუტკა", რომელიც სოფლის ბოლოში იდგა და სადაც ღამღამობით ყარაულობდნენ ტყის მცველები, რომ ვისმე ნამალევად ხე-ტყე არ გამოეპარებინა. ტყის თაობაზე ხალხის ლაპარაკს რომ ყური დაუგდოს კაცმა, იმ აზრს გამოიყვანს, რომ მათგან ტყის სარგებლობის ეხლანდელი წესი და რიგი მათთვის აუტანელია. ბევრს ლაპარაკობენ აგრეთვე მღვდლის სხვა-და-სხვა წესის შესრულების საფასურსა, ჩაფრის ცხენებსა, მალაზიის ფულსა, ყველა წოდების გათანასწორებაზე და სხვაზე.

აქაური

—

ჭყვიში. სამი კვირა იქნება, რაც გლეხთა მოძრაობა დაიწყო ჩვენში. გლეხებმა მრავალი მოთხოვნილება წარადგინეს, სადაც ჯერ არს. ჩვენ არ გვინდა ეხლანდელი არც სასამართლო და არც სკოლები, რადგან ვერაფერ სარგებლობას ვერ ვხედავთ მათშიო, ამბობენ გლეხები. შესწყვიტეს ყოველივე კავშირი მთავრობასთან და თავიანთ საქმეებს თვითონვე განაგებენ. ღირს შესანიშნავია ის გარემოება, რომ ახალმა ხალხისაგან ამორჩეულმა კაცებმა ბევრი იმგვარი საქმე მოაწესრიგეს და გაასწორეს, რის გაკეთება და გასწორება არ შეეძლო ძველს სასამართლოს. აღსანიშნავია ისიც, თუ რამდენად შემცირდა ჩვენში ძარცვა-ქურდობა და სხვა არა სასურველი მოქმედება.

ჭყვიშელი გლეხი

—

ბ. საჟულია (ქვემო იმერეთი). „გაუმარჯოს ერთობას, ძმობას, სიყვარულობას". გაიძახის ყველა—დიდი, პატარა, ქალი, კაცი; გუშინდელი გლეხთა მგლეჯელნი—ჩარჩები, მოვაჭრენი და სხვ, მაგრამ რამდენად გულწრფელი ყოფილა ზოგიერთების ერთობაზე ფიცი, ეს დამტკიცდა 19 აპრილს ზედა საჟულიელთა კრებაზე. ეს კრება იყო დანიშნული გლეხთა შორის ამხანაგობის მტკიცე ნიადაგზე დაყენებისთვის (ამხანაგობა შარშან დაარსდა). ამხანაგობამ უნდა ჰყიდოს ყოველი ჭინახული საერთოდ პირდაპირ ბაზარში, რომ არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდეს ადგილობრივ მყიდველს, რომელთაც მუშათა ნაშრომით ქონი გაიკრეს. ლაპარაკის დროს ორი-სამი პირი ჩაერია ხალხში და უმტკიცებდა მათ ამგვარ ამხანაგობის უვარგისობას, სახლში დაგილპებათ ჭირნახულიო. როცა ამით ვერა გააწყეს და უმრავლესობამ ერთობის ფურცელზე იწყო ხელის მოწერა, მაშინ ერთი ისე გაწიწმატდა, რომ მოურიდებლად წამოიძახა: „თქვენ ყველა ყრუები იყავით და მითი ჩვენ ვსარგებლობდითო, აწი რაც გინდათ, ის ჰქენითო". ხალხიდან რამდენიმე კაცი საცემად გაიწია მაზე. მაგრამ ნება არ მისცეს. ამხანაგობის უმთავრესი მუხლები შემდეგია: 1. ყველა ჭირნახული იყიდებოდეს ამხანაგურად, ე. ი. კერძოდ წევრს ამხანაგობისას ნება არა აქვს მიჰყიდოს ჭირნახული ვისმეს ამხანაგობის გარეშე; 2. ამხანაგობის დაუკითხავად ვინც დაიწყებს ვაჭრობას (წევრი) და ამხანაგობის საქონელს დაფოლავს, იმას ეცხადება ბოიკოტი; 3. ვინც ამხანაგობას უღალატებს, იმასაც ეცხადება ბოიკოტი, ე. ი. ირიცხება საზოგადოებიდან. ამხანაგობა პირველ თავის მოქმედებას დაიწყებს კომბოსტოს გაყიდვით, რომელიც მაისის ხუთამდის შემოვა.

სალი

—

სოფ. მაჩნაძიანი (კახეთი). აღდგომის მეორე დღეს, აქაური მცხოვრებნი დღესასწაულობენ ამიდასტერობას (ღვთის-მშობლობა). ამ ეკლესიამ კარგი დღეობა იცოდა წინად. წლეულს-კი უფერულად ჩაიარა. ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო და ვაჭრობაც სუსტი იყო. ვინც იყვნენ, ისინიც გულჩათხრობილად და უხალისოდ გამოიყურებოდნენ, მიზეზი, როგორც ყველგან, მცხოვრებთა მოძრაობაა. სტუმრებისთვის არავის სცხელოდა. ხომ მოგეხსენებათ ანდაზა: „თუ მასპინძელი არ ლხინობს, სტუმარსაც, მოეწყინებისო" ან რა მხიარულობის დრო იყო, საითაც გაიხედავდით. სალდათი იდგა თოფით. ამას გარდა სწორედ ამ დღისთვის მოიწვიეს „დრაგუნის" ჯარი და აატარ-ჩამოატარეს. ამის შემდეგ ხალხიც დაიშალა. ზოგი შინ წავიდა, უფრო გამბედავნი დარჩნენ სადილად ნათესავებთან და ნაცნობებთან. საღამოზედ, როდესაც შინ ბრუნდებოდა ხალხი, სოფ. კალაურში დახვედრია ერთი მთვრალი ქართველი „სტრაჟნიკი", ხმალ ამოღებულ, ბერდანის თოფით. მოუმიზეზნია, ვითომ გამლანძღეთო და დაუწყია თოფის სროლა. მერე მათრახით დარევია და ხალხი კარგათ შეუნაწილებია. თან ჰყვიროდა. მე „ბუნტოვშჩიკების" დასამშვიდებლადა ვარ გამოგზავნილიო.

გოგია დ...

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენს გაზეთს „ცნობის ფურცელში", № 3807. დაგიბეჭდიათ ბ-ნ სანდრო კურატაშვილის წერილი, ჩემდა საწინააღმდეგოდ მომართული. გთხოვთ ქვემორე პასუხიც დაბეჭდოთ სიმართლის გულისათვის.

1. 25 თებერვალს საღამოს ჟამზე კურატაშვილმა შეგვატყობინა თავის პატარა შვილის შვილის მონათლვა. ყველა საჭირო ნივთი თავის დროზე მიტანილ იქმნა კურატაშვილის სახლში, მაგრამ რაკი ჯერ ნათლია მოსული არ იყო, შევატყობინეთ, რომ იმავე საღამოს ტფილისის სამღვდელოების კრება იყო დანიშნული და შესაძლებელი იყო დაგვეგვიანა. თორმეტი საათი შესრულდა რომ მივედით და მოვნათლეთ ყმაწვილი, რომელიც შეწუხებული კი არა, ძალიან კარგად იყო და დღესაც კარგად არის; 2. 15 მარტს, დილის რვა საათზე, შეგვატყობინა კურატაშვილმა, ავადმყოფი შვილის-შვილი მიზიარეთო. იმ დილით საეკკლესიო საქმეებისა გამო ეგზარხოსთან გახლდით და იქვე, ეზოში ვსთხოვე ილუმენს გერასიმეს ავადმყოფი ეზიარებინა, და აზიარა კიდეც სწორედ დილის ათ საათზე; 3. იგი ავადმყოფი მიიცვალა 9 აპრილს. იმ საღამოს პანაშვიდი შევუსრულეთ მიცვალებულს კურატაშვილის სახლში. მეორე დღეს ეკკლესიაში მივასვენეთ და წირვის შემდეგ ანდერძი ავუგეთ. ეკკლესიიდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაომდე წინ გაძღოლა არ შემეძლო, ავადმყოფობისა გამო, და მეორე მღვდელი გაუძღვა წინ. 9 აპრილს, შაბათს, დილის ექვს საათზე, იძულებული ვიყავ ექიმი მაჭავარიანი მომეწვია, ისე სუსტად შევიქმენ და იმ დღით ძლივ-ძლიობით ვწირე, თუმცა ექიმი მიშლიდა დღეს ნუ სწირავო; ამიტომ უქეიფობის დროს დიდს მანძილზე ფეხით სიარულს ვერიდები ექიმების რჩევისა გამო; 4. 18 აპრილს, დილის ცხრა საათზე, კურატაშვილმა მოგვიგზავნა თავის შვილის-შვილი ვანო—დღეს ჩვენ სასაფლაოზე მივდივართ და საღამომდე არ მოუვალთო. და ჩვენც საღამოს რვა საათზე მივედით; იქიდან იქვე მეზობლებთანაც ვიყავით შემდეგ. თვით კურატაშვილი შინ არ ბრძანდებოდა იმ დროს და ძილს როგორ აპირებდა, ეს თქვენ გამოიცანით: შინ იყვნენ მხოლოდ მისი ქალი და სიძე.

მღ. პ კარბელაშვილი

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

28 აპრილი

რეველი, 28 აპრილი. ტოისის მამულში მოჯამაგირეებმა მოთხოვნები წარადგინეს ქირის მოსამატებლათ. არეულობა არ მომხდარა.

პეტერბურგი. ტყუილი გამოდგა ჩვენგან მოწოდებული ცნობა სპარსეთის საზღვარზე ჩვენსა და სპარსელთ სალდათებს შორის შეტაკების შესახებ.

პეტერბურგი, 28 აპრილი. „პრავიტ. ვესტნიკ"-ში იუწყებიან, ახალი დებულება საშუალო სასწავლებლების შესახებ მომავალ წელში იქნება შეტანილი სახელმწიფო საბჭოს განსახილველადო.

ჟიტომირი, 29 აპრილი. გუშინ შეტაკება და ძალ-დატანება არ მომხდარა. გაალეს მეტი წილი საწვრილმანოებისა. ქალაქსა და მის განაპირა ადგილებს ჯარი იცავს. არეულობის დროს სულ მოჰკლეს 12 ებრაელი და ორი ქრისტიანე. დაჭრილია საავადმყოფოში მიყვანილი ებრაელები 62, შინ დარჩენილი—20. ქრისტიანები—9, რომელთაგან 1 გარდაიცვალა. 24 აპრილს, დილის 6 საათზე, პეტერბურგის ქუჩაზე, რესტორანიდან მოდენილ ბოქაულ კულიაროვს, ორჯერ ესროლეს უკანიდან რევოლვერი და იქვე მოჰკლეს. მკვლელი, ადგილობრივი ქრისტიანე სიდორჩუკი, დაატუსაღეს.

ლონდონი, 28 აპრილი (რეიტ.). ბალფურმა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა და სთქვა, ნაციონალურ დაცვის საკითხში სამი მხარეა გასარჩევი—დაცვა ინგლისისა, ახალშენებისა და ინდოეთისაო. ყველაზე დიდი საქმე ინგლისის დაცვააო. ჩვენ შევეკითხეთ სამხედრო უწყებას, რამდენი ჯარი უნდა ჰყავდეს უცხო სახელმწიფოს, რომელსაც მიზნად აქვს ინგლისზე დაცემა-თქო. რობერტსმა გვიპასუხა, 70 ათასი მეომარიო. მე მგონია, მარტო საფრანგეთს შეუძლია ჩვენ მტრობა გაგვიწიოს. მაგრამ საფრანგეთთან ომი ძნელად თუ მოსალოდნელია. რუსის აფიცრები ყურებს გვიჭედავენ ინდოეთზე დაცემის შესახებ ლაპარაკით, მაგრამ ძნელათ, რომ რუსეთის მთავრობას ამგვარი პლანი ჰქონდეს შედგენილი. ბევრი ძლიერ აზვიადებს რუსების ახალ რკინის გზების მნიშვნელობას; ამასთან სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ მანჯურიის რკინის გზა რუსების პოზიციების ფრონტისკენ მიდის და რუსეთი ყოველთვის შესძლებს გადაიყვანოს ჯარები საცა უნდა, იმ განაპირა ადგილებში. ასე არაა საქმე ავღანისტანში, საცა რკინის გზა არ მიდის. ინდოეთის თავზე დაცემა მხოლოდ ქაბულითა და კანდაგარით შეიძლება, მაგრამ აქ შეურყეველი დაბრკოლებაა. ძნელათ თუ ავღანელები მიესალმებიან რუს-ინჟენრებს, რომელნიც რკინის გზის კეთებას შეუდგებიან. ავღანის არმია საშიში იქნება რუსის ჯარებისათვის, მეტადრე მაშინ, თუ ბრიტანიამ მიაშველა ჯარი ავღანისტანს დამოუკიდებლობის დასაცველად.

ნიჟნი ნოვგოროდი, 28 აპრილი. შუაღამისას რევოლვერით მოჰკლეს თეატრიდან მოდენილი ჟანდარმთა პოლკოვნიკი გრეშნერი, დამცველ განყოფილების უფროსი. მძიმედაა დაჭრილი ღამის დარაჯი. დაიჭირეს მკვლელი. მან თავის თავს აზნაური ნიკიფოროვი უწოდა.

ცუჩინი, 28 აპრილი. (ლომჟის გუბ.). გუშინ საღამოთი აფეთქება მოუნდომეს დონის კაზაკთა პოლკის თოფის წამლის საწყობს. ყველა 4 ბოროტ-გამზრახველი მიიმალა.

ვეტრი. ციკლონმა 125 კაცი მოჰკლა და 150 დასჭრა. დაინგრა ქალაქი სნაიდერი, საცა 1000 მცხოვრები იყო. ძლიერ დაზიანდა რკინის გზა; შეწყდა მიმოსვლა სანფრანცისკოსთან.

პეტერბურგი, 28 აპრილი. ოფიციალური. ჟიტომირში არეულობა მოხდა: შეეტაკნენ ებრაელები და ქრისტიანები; ორივე მხრივ არიან დაჭრილნი და მოკლულნი. ამ არეულობის შესახებ შემდეგი ცნობებია შინაგან საქმეთა სამინისტროში: 1. 18 აპრილს ქალაქ გარედ შეკრებილა 300 ებრაელი და იქ ვარჯიშობა დაუწყიათ რევოლვერების სროლაში; ამასთანავე რევოლვერებს ესროდნენ ხელმწიფე იმპერატორის სურათს. მოსულან გლეხები და პროტესტი განუცხადებიათ, მაგრამ ებრაელებს უპასუხნიათ, რომ ჩქარა ებრაელები გახდებიან გლეხების მმართველებიო; 2. საღამოს ებრაელმა სრულ ანდიკატორმა უმიზეზოთ სახეში გაარტყა იქვე მდგომ ქრისტიან 14 წლის ბავშვს, იოსებ კრუპსკის, რომელმაც დანით პატარა ჭრილობა მისცა მას. ამ ადგილას დაუყოვნებლივ მოიყარეს თავი ებრაელებმა, რომელთაც ძებნა დაუწყეს კრუპსკის და მას ნაწილ-ნაწილ გაგლეჯვას ემუქრებოდნენ. მოვიდა პოლიცია და დიდის შრომის შემდეგ გაფანტა ბრბო; 3. სასამართლოდან მოჰყავდათ პოლიტიკური დამნაშავე ებრაელები, რომელთაც წინ მიეგებნენ სხვა ებრაელები და ლანძღვა-გინება დაუწყეს კანოვოის და შეურაცხყოფით მოიხსენიეს ხელმწიფე; 4. ბერდიჩეველი გლეხი ხმარა შევიდა ებრაელ ბეზპოროზვანნის ეზოში; ბეზოპროზვანნიმ და მისმა ცოლმა ტალახი ესროლეს ხმარას; ატყდა ყვირილი, მოირბინეს მეზობელ ებრაელებმა და ცემა უნდოდათ ხმარასი, მაგრამ პოლიციამ აღადგინა წესიერება.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

28 აპრილი

პეტერბურგი. იმ ბრძანებაში, რომელიც მიმართულია გვარდიელებისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქისადმი, განაცხადებია (?), რომ სამხედრო სამინისტროს კანცელარიის საკანონმდებლო განყოფილების განმარტების თანახმად, ყველა ის პირნი, რომელნიც საჭირო ხნისანი შეიქნენ სათადარიგო ჯარის-კაცების სიიდან გამოსარიცხავად იაპონიასთან ომის გამოცხადების შემდეგ, უცილობლად უნდა ითვლებოდნენ სათადარიგო ჯარის-კაცებათ ომის გათავებამდეო.

გუნჩულუნი, 28 აპრილი. იაპონელებმა თავიანთი რეზერვები, რომელნიც აქამდე ტელინის სამხრეთით იდგნენ, კაიუანის გზისაკენ გასწიესო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ისინი ჩქარა წინ გალაშქრებას დაიწყებენო.

პარიზი, 29 აპრილი. „ტან"-ში მოთავსებულია საფრანგეთის მთავრობის პასუხი იაპონელთადმი ნეიტრალიტეტის დარღვევის საკითხის შესახებ: იაპონელთ საყვედური უსაფუძვლოა, ტერიტორიალურ წყლებში არასოდეს არც შეერთება მომხდარა, არც ოპერაციების ბაზათ გამხდარა იგინი. იაპონელები იმასვე სჩადიოდნენ ფილიპინის კუნძულებზე, რასაც რუსებს უსაყვედურებენ იგინი; პროტესტი საფრანგეთისთვის კი არა, მეორე სახელმწიფოსთვის უნდა განეცხადებიათ, რომლის ქვეშევრდომებმა ნახშირი მიაწოდეს რუსებს. ინგლისმა სამართლიანად სცნო საფრანგეთის თავის მართლება. საფრანგეთი სრულიად კორრექტიულად იქცეოდა ნეიტრალიტეტის დაცვის საქმეში და ხელმძღვანელობდა იმ წესებით, რომელნიც მან ომის დაწყებამდე გამოსცა ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ და რომლების წინააღმდეგ იაპონიას კრინტიც არ დაუძრავს. რუსეთისთვის არავითარი შეღავათი არ მიუციათ და იაპონელებს შეეძლოთ ესარგებლნათ რუსების პორტებში დგომით, რომ ისინი გემების შესახვედრად წასულიყვნენ და არ დაეწყოთ მათთვინ ლოდინი თავიანთ წყლებში.

ბაბრუისკი. გაიფიცნენ კალატოზები და ქვა-ფენილის მკეთებელნი.

რიგა, 27 აპრილი. ქალაქ გარეთ, მიტავის უბანში, ძაფის მრთველ ფაბრიკის ხელოსანს როზნერს ბოროტ-გამზრახველი შეხვდნენ; ერთმა ორჯელ ესროლა რევოლვერი და მოჰკლა როზნერი. მკვლელი ხალხის თვალ-წინ მიიმალა. საიდუმლო პოლიციამ მიაგნო ერთ მუშას—ლატიშს, რომელმაც თავი მკვლელობაში მონაწილედ აღიარა, მაგრამ სხვების დასახელებაზე უარი განაცხადა.

ოდესა, პურის მცხობელთა გაფიცვა შეთანხმებით გათავდა. გაიფიცნენ მექუდეები და მეჩექმეები.

ლოძი. ძმ. პრუსაკების ფაბრიკაში 100 ფეიქარი გაიფიცა და მოითხოვს ხელფასის გადიდებას; დანარჩენი 200 კაცი მშვიდობიანად და თავისუფლად მუშაობს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 22 აპრილს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,00
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,50
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე	46,30
პარიზისაზე	37,75½
ბირჟის დისკონტი	5½%—6½%
4% სახელმწიფო რენტა	84
4½% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1905 წ.	—
5% გირ. სახ. ს.-მამ. ბანკის	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	380
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	292¾
5% [illegible]	272
5½% [illegible]	—
5½% [illegible]	—
[illegible]	—
ა. ი. მანთაშევის და ამხ. აქცია	219

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლების 18 აპრილიდან.

[illegible]

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 [illegible] საღამოს 1 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) საფოსტო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საბარგო-სამგზ. № 18 დილის 6 ს. 7 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. 58 წ.; 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 26 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 [illegible] სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 [illegible] ნაშუადღევს 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) საფოსტო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 89 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 ღამის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 [illegible] ნაშუადღევს 1 ს. 18 წ.; 2) საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 [illegible]

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. [illegible]

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.); 3) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 36 წ.; 2) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) ღამის 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნიდან: ნაშუადღევს 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა" ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურთა ბანკის სახლში, ღია არის დილით 10—2 საათ. საღამ. 5—7 „ კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, [illegible] ქუჩა, № 131. ღია არის დილით 10—2 საათ. საღამ. 5—9 „
3. ოლღის ქუჩაზე, სახლი № 19. ღია არის დილით 10—2 საათ. საღამ. 5—8 „

СѢДЕЛЬНИ, СПЕЦІАЛЬН.

Безъ конкуренціи продаются всевозможн. сѣдла. [illegible] № 92 [illegible] (წ—865—221)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

[illegible] (25—25)

განცხადებანი

[illegible]

პირველი სახელოსნო

[illegible]

კ. ი. კურხალიასი

[illegible] (90—45)

ცელულიარული გრენა

[illegible] (15—5—14)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა» კიოსკში

[illegible]